გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 აპრილს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყვეელა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 13 აპრილი. 2020 წ. №55 (8981) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მხოლოდ სულიერი მხნეობით და კიდევ რამდენიმე დღე შინ დარჩენით დავამარცხებთ უხილავ მტერს!

ილია მეორე: სხვების თქმა არ გვჭირდება, ვიცით, რომ ქართველი ადამიანი ძლიერია სულით



გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში იქადაგა, ილია მეორემ მორწმუნეებს ბზობის დღესასწაული მიულოცა.

„გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს, ბზობას. მე ვერ წარმომედგინა, რომ ქართველი ხალხი ასე მშვიდად, ასე, ვაჟკაცურად შეხვდებოდა ამ განსაცდელებს. დიდება და მადლობა უფალს. ღმერთი გვაძლევს ჩვენ ძალას, უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით.

ბზობა დიდებული დღესასწაულია, ეს არის ადამიანის გამოცდა, ადამიანის განწმენდა. უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი როდესაც გვაძლევს განსაცდელს, თუ მადლიერებით, მადლობით მივიღებთ ამას, უფალი ძალას მოგვცემს, გადავიტანოთ ეს განსაცდელი. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ განსაცდელის შემდეგ მოდის სიხარული.

ღმერთი მოწყალეა, ღმერთი მოგცემს შენ სიხარულს და ძალას, რომ ავიტანოთ ეს განსაცდელი.

გილოცავთ ამ დღესასწაულს, გილოცავთ ამ გამოცდას, გილოცავთ განწმენდას, ეს არის ჩვენი განწმენდა. მაგრად იდექით. აი, სხვები ლაპარაკობენ უცხოეთში, ქართველმა ხალხმა ვაჟკაცურად მიიღო ეს განსაცდელიო. სხვების ლაპარაკი არ გვჭირდება, თვითონ ვიცით, რომ ქართველი ადამიანი ძლიერია სულით. გაგაძლიეროთ უფალმა, უფალმა ძალა მოგცეთ, გაკურთხოთ“, — განაცხადა პატრიარქმა.

მუხრან მაჭავარიანი



ვინც საქართველოს ესწრაფვის ქართულს!

სამშობლოს ჩემსას იშვიათად
უგრძვნია შვება, —
საყიალოა თავისობას ის
რადგან სხვების.
მას დღემდე ბევრი სისაძაგლე
შესძინეს სხვებმა; —
იგია, მოკლედ, საკუთარი
სიკარგის მსხვერპლი...
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, —
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს!
არა ცრუქართულს! —
ნამდვილად ქართულს!
სიტყვითურთ ქართულს! —
საქმითურთ ქართულს!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, —
რომელსაც ვატყობ! —
კოჭებში ვატყობ! —
არის ყველაფრით
ყოველმხრივ სანდო
და საქართველოს
იმნაირს ნატრობს, —
ნატრობს
როგორსაც
ქართველი
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, —
ვინც უწყის:
ტატომ ღაღადყო რატომ:
სახელმწიფოთა შორის ერთობას
(ესეც ღვთის ნება არის, ეტყობა!)
სარწმუნოება
არ ყოფნის
მარტო!
სულს მივცემ ჩემსას, —
ერთი სიტყვით, —
მე იმას მარტო,
ვინც იცის:
გაჩნდა
ქართველად
რატომ!

ვუშინ დიდი პოეტის დაბადების დღე იყო...

ბიძინა ივანიშვილი ნებისმიერ შემთხვევაში დააზღვევს სახელმწიფოს!

„ას მილიონს რომ უწუნებ და ცოტაა, იძახი, თავად 10 ლარი მაინც შეგიტანია ამ ფონდში?!

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ბიძინა ივანიშვილის** ოჯახის მიერ Stop Cov-ის ფონდში 100 მილიონი ლარის ჩარიცხვამ ყველაზე მეტად ოპოზიციონერები გააღიზიანა, რომლებმაც ეს თანხა უმცირესად მიიჩნიეს და განაცხადეს, იმდენად დიდი შესაძლებლობები აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომ ეს თანხა ზღვაში წვეთია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისმოდა კითხვა, სად იყო ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ ჩანდა იგი, რატომ არ იჩენდა ისეთ გულუხვობას, როგორც თუნდაც **ბერა ივანიშვილი**, რომელმაც ამაზონის ტყეების გადასარჩენად 1,1 მილიონი დოლარი გაიღო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ივანიშვილის 100 მილიონი გამოჩნდა, ამაზონის ტყეების ამბავი არავის გახსენებია.

უბრალოდ, გაახსენდათ, რომ ეს 100 მილიონი ბიძინა ივანიშვილის შემოსავლის 0,6%-ია. ზოგიერთმა „ნაციონალმა“ ეჭვი იმაშიც შეიტანა, იქნებ, ეს 100 მილიონი სულაც არ არის ბიძინას ფული?! რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების განსჯა ზუსტად იმ ადამიანებმა დაიწყეს, რომელთაც არანაკლები თანხები გააჩნიათ, თუკი ოდესმე ქველმოქმედებისთვის აუტოკდებათ გული.

იხ. 2 გვ.

ირაკლი გოგავა:



პაატა იმნაძის ქვეყნიდან გაძევების მიზანი იყო ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობის შეჩერება

4

ბიძინა ივანიშვილი ნებისმიერ შემთხვევაში დააზღვევს სახელმწიფოს!

„ას მილიონს რომ უწუნებ და ცოტაა0 იძახი, თავად 10 ლარი მაინც შეგიტანია ამ ფონდში?!

(პირველი გვერდიდან)

დავით ბერძენიშვილს ივანიშვილის შემოწირულობა ეცოტავა და მარტივი კალკულაციით დაასკვნა, რომ ეს მცირე თანხაა ივანიშვილისთვის და მისი ქონების 1%-იც კი არ არის, მაგრამ დიდი თანხაა საქართველოსთვის. ბერძენიშვილის ანგარიშით, 100 მილიონი ლარი, ნუ სადღაც, 33 მილიონი დოლარია, ივანიშვილი კი ერთი დღის განმავლობაში ხან მეტს იგებს, ხან მეტს აგებს.

ნიკა მელიას ფინანსური გემოვნებაც არ დააკმაყოფილა ბიძინა ივანიშვილის ბოლო დროის ქველმოქმედებამ, რომლის თქმითაც, ამ ადამიანს შეეძლო უფრო მეტი თანხა ჩაერიცხა Stop Cov-ის ფონდში, რადგან მხოლოდ საყდრისის აფეთქებიდან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თითქმის 2 მილიარდი ლარის ღირებულების ოქრო და სპილენძი აქვს გატანილი ქვეყნიდან.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის მომხრეებს, მათ მადლიერება გამოხატეს ივანიშვილის ქველმოქმედების მიმართ. ზოგიერთები უფრო შორს წავიდნენ და ივანიშვილის 100 მილიონი ლარი შეადარეს იმ 100 ათასს, რომელიც „ლელოს“ მესვეურებმა გაიღეს.

ანალიტიკოს **სოსო მანჯავიძეს** ლეგიტიმური კითხვა უჩნდება, სად არიან დანარჩენები, ვისაც არანაკლები კაპიტალი აქვს, კერძოდ, სად არის ბეჟუაშვილი, მან რატომ არაფერი გაიღო? მიხეილ სააკაშვილის ქველმოქმედება სად არის, ან მასთან დაახლოებული ადამიანების? სად არის ნაყოფიას ქველმოქმედება?

„სასაცილოც აღარ არის უკვე, სატირალია, რასაც ეს ხალხი აკეთებს. მით უმეტეს, 100 მილიონზეა საუბარი, რომელიც დიდი თანხაა და ამაზე რატომღაც უკმაყოფილებას გამოხატავენ. სხვათა შორის, ასეთივე აბსურდული იყო მათი პოზიცია ექიმების მიმართ. როგორი იდიოტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ეპიდემიის დროს ეპიდემიოლოგებს დაუწყო ბრძოლა და ომი. ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაღებული 100 მილიონი წაადგება და შეეშველება ბიუჯეტს. რამდენიც საჭირო იყო ფონდში ჩასარიცხად, ალბათ, იმდენი ჩარიცხა ბიძინა ივანიშვილმა. ამ 100 მილიონ ლარს ხომ გარკვეული გათვლების შედეგად გაიღებდა ივანიშვილი? სამწუხაროდ, გონებრივი პრობლემების გამო ეს ხალხი ვერ არჩევს, რა არის ეს თანხა, როცა ამბობენ, 5 მილიარდთან მიმართებითო, არც ის იციან, როგორ ითვლება ეს 5 მილიარდი. ეს ითვლება აქტივების მიხედვით, რომელშიც შედის უძრავი ქონება და სხვა აქტივები, რომელიც აქვს ბიძინა ივანიშვილს. ხოლო ეს 100 მილიონი ლარი არის პირდაპირი ქეში, რომელიც, სავარაუდოდ, ითვლება შემოსავლიდან. ეს ადამიანები ქონებასა და შემოსავლსაც ვერ არჩევენ ერთმანეთისგან. თუ კიდევ იქნება მწვავე აუცილებლობა, ალბათ, ბიძინა ივანიშვილი თანხას კიდევ დაამატებს“, — აცხადებს სოსო მანჯავიძე.

მისივე განმარტებით, რა თანხაც არ უნდა გაეღო ბიძინა ივანიშვილს ფონდში ჩასარიცხად, მორალთან მწყრალად მყოფი ოპოზიციონერები მაინც მონახავდნენ მიზეზს უკმაყოფილოდ დასარჩენად. ანალიტიკოსი აცხადებს, რომ პირადად ათასჯერ მაინც გაუკრიტიკებია ხელისუფლება, თანაც, უფრო მწვავედაც, ვიდრე ამას აკეთებს ოპოზიციად მონათლული „ნაცმოძრაობა“ და მისი ანასხლეტები, მაგრამ არასდროს არ დაბნელებია გონება ისე, არ ეთქვა კარგი იმაზე, რაც ნამდვილად კარგია. ოპოზიციას კი აქცენტები აქვს არეული და ვერ ხედავენ, რომ ეს 100 მილიონი მოხმარდება კონკრეტულ ადამიანებს და მათ გასაჭირს.

სოსო მანჯავიძეს, ასევე, აინტერესებს, რას ფიქრობენ საქართველოში მოქმედი ბანკების მესვეურები, რომელთა წმინდა მოგებამაც გასულ წელს საქართველოში 927 მილიონი ლარი შეადგინა. ასე რომ, ამ ბანკების ქართველ მეწილეებს აქვთ უფლება, საკუთარი აქციონერების წინაშე დააყენონ საკითხი საქართველოსთვის ერთჯერადი დახმარების გაწევის შესახებ, მაგალითად, თუნდაც გასული წლის წმინდა მოგების 10%-ის სახით.

„ბიძინა ივანიშვილს, როგორც წესი, ყველაზე მწარედ ის ხალხი აკრიტიკებს და გესლავს, ვინც განსაკუთრებით ბევრს გამორჩა მას... ზოგი მისგან ნაჩუქარი სახლიდან ლანძღავს, მის ნაჩუქარ ჯიპში ჩაჯდომისას, ზოგი კი ახლად სიკვდილს გადარჩენილი მისგან დაფინანსებული ოპერაციით“, — აღნიშნავს სოსო მანჯავიძე.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი იქცევა ისე, როგორც ღირსეული კაცი, რომელსაც ეს კრიზისი არ გამოუყენებია საკუთარი თავის რეკლამირებისთვის. იგი ერიდება კიდეც საჯარო გამოსვლებს, განსხვავებით საკაშვილისგან, რომელიც ყოველ საღამოს ტელევიზორში „მე-მე“-ს იძახის. თანაც, სააკაშვილი ამას ისეთ არასწორ დროს აკეთებს, როცა საგანგებო ვითარების გამო პარტიული ინტერესები უკვე აღარ არის მთავარი.

„ელემენტარული ზრდილობის ამბავია, ივანიშვილს ერთი ლარიც რომ ჩაერიცხა ამ ფონდში, კაცი შვილს უფლება არ ჰქონდა, ხმა ამოეღო. ეს არის ქველმოქმედება, ეს არის კეთილი ნება, ეს ადამიანი ეხმარება ქვეყანას. მას დიდი შეძლება აქვს, ვერც ერთი ქართველი საკუთარ თავს ვერ მისცემს უფლებას, ან დაუწუნოს, ან უანგარიშოს ივანიშვილს პირადი თანხები. ჯერ ერთი, სხვისი ქონების დათვლა რა ზრდილობაა. ას მილიონს რომ უწუნებ და ცოტაა0, იძახი, თავად 10 ლარი მაინც რომ შეგეტანა ამ ფონდში და ამის მერე გექნებოდა მორალური უფლება, რამეზე აზრი გამოგეთქვა. ეს გამაოგნებელია, რადგან საქართველოს ისტორიაში ამ მასშტაბის ქველმოქმედება არ ყოფილა. თანაც, ეს პირველი ასი მილიონი ხომ არ არის? სამომავლოდ ამ ფონდს კიდევ დასჭირდება ბიძინა ივანიშვილის დახმარება. მაგკაცს ნათქვამი აქვს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ის დააზღვევს სახელმწიფოს, თუკი სახელმწიფოს თანხები არ ეყოფა“, — მიიჩნევს დავით ზარდიაშვილი.

მანანა ნოზაძე

მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ვინც აღდგომას დღეს აღნიშნავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც დღესასწაულს 12 აპრილს აღნიშნავენ აღდგომა მიულოცა.

„კათოლიკური, სომხური და ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიები ბრწყინვალე აღდგომას აღნიშნავენ. მინდა მივულოცო ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ვინც აღდგომას დღეს აღნიშნავს — ქართველ კათოლიკეებს, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიასა და ჩვენს სომეხ თანამოქალაქეებს, საქართველოს ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიასა და მის მრევლს. გისურვებთ ჯანრთელობას და მხნეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საყოველთაო განსაცდელს აუცილებლად დავძლევთ ერთიანი ძალისხმევით“, — აცხადებს გიორგი გახარია.

აღდგომის დღესასწაული მოქალაქეებს მიულოცეს პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ და თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები ქობულეთის მუნიციპალიტეტში

მთავრობის გადაწყვეტილებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში გვარაში, მუხაესტატეში, ლეღვაში და წყავრუკაში შემოდის სპეციალური რეჟიმი და მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები წესდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის პრეს-სპიკერმა, ირაკლი ჩიქოვანმა მთავრობის ადმინისტრაციაში ბრიფინგზე განაცხადა. ჩიქოვანის თქმით, ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში აკრძალულია შესვლა და გამოსვლა.

ამასთან, ამ დროისთვის, მკაცრი საკარანტინო რეჟიმი ასევე დაწესებულია ლენტეხში, ბოლნისსა და მარნეულში.

* * *

რეგიონში სიტუაცია არის აბსოლუტურად მართვადი და დარწმუნებული ვარ, შემდეგი დღეების განმავლობაში გავრცელების რისკები იქნება მინიმუმამდე დაყვანილი, — ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა.

თორნიკე რიჟვაძემ გვარას საკონტროლო-გამშვები პუნქტი მოინახულა. როგორც მან აღნიშნა, თუ რეკომენდაციების დაცვა მოხდება, თავიდან იქნება აცილებული სპეციალური ღონისძიებების შემოღება.

როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში საგანგებო მდგომარეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილება სპეციალისტების რჩევების საფუძველზე მიიღეს.

როდის დასრულდება ეს რეჟიმი, პასუხის გაცემა ძნელია

„პასუხის გაცემა კითხვაზე, როდის დასრულდება საგანგებო მდგომარეობა ძალზე ძნელია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცით და კარგად გამოკვეთილი არ არის, რა ეპიდსიტუაცია გვექნება 21 აპრილს“, — ამის შესახებ მედიცინის დოქტორმა, ლუგარის ლაბორატორიის ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსმა, შოთა ცანავამ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

შოთა ცანავა ასევე აცხადებს, რომ გადაჭრით არ შეუძლია თქვას, უნდა გაგრძელდეს თუ არა საგანგებო მდგომარეობა.

„ვერ ვიტყვი საგანგებო მდგომარეობა უნდა გაგრძელდეს თუ არა. ეს უნდა ვთქვათ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ სიტუაციის ანალიზს და ინტერპრეტაციას გავუკეთებთ მოპოვებულ ფაქტებს და ანალიზის შესახებ მოვახსენებთ საზოგადოებას და ხელისუფლებას. ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვიტანთ დასკვნას“, — აღნიშნა ცანავამ.

კორონავირუსისგან 80 წლის ქალი გამოჯანმრთელდა

თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში კორონავირუსისგან 80 წლის ქალი გამოჯანმრთელდა.

ამის შესახებ კლინიკის დირექტორმა ლევან რატიანმა განაცხადა.

„ყველასთვის საინტერესო შემთხვევა, 80 წლის ქალბატონი, რომელიც ჩვენს კლინიკაში შემოვიდა 18 დღის უკან, კრიტიკულ მდგომარეობაში, იმყოფებოდა ფილტვის ხელოვნურ ვენტილაციაზე, კლინიკურად სახეზე იყო ფილტვის მწვავე დაზიანების სინდრომი, გულის მწვავე დაზიანების სინდრომი, თირკმლის მწვავე დაზიანების სინდრომი, იცით, რომ ეს ქალბატონი მოიხსნა აპარატიდან, მოხსნილია ჟანგბადდამოკიდებულება, პროტოკოლის მიხედვით ჩატარებული ტესტირების შედეგად, ქალბატონთან მივიღეთ ორჯერადად უარყოფითი პასუხი, დღეს ქალბატონი გადადის თერაპიულ განყოფილებაში და რამდენიმე დღეში, ალბათ ორშაბათისთვის გაეწერება კლინიკიდან“, — განაცხადა რატიანმა.

* * *

თბილისის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას კორონავირუსისგან გამოჯანმრთელებული 24 კვირის ორსული დატოვებს.

„24 კვირის ორსულთან პროტოკოლის მიხედვით ჩატარებული ტესტირების შედეგად, ორჯერადად მივიღეთ უარყოფითი პასუხი. ქალბატონი ჯანმრთელი, კოვიდინფექციის გარეშე გაეწერება რამდენიმე საათში კლინიკიდან. გადამოწმდა ნაყოფის მდგომარეობა და ამ ეტაპზე შეესაბამება ფიზიოლოგიურ პირობებს“, — განაცხადა ლევან რატიანმა.

გიორგი ბაბუაძე კანადიდან გვაიმედებს...



კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მზად არის!

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა, რომ ქართველი მეცნიერი **გიორგი ბაბუაძე** კანადაში მეცნიერთა იმ ჯგუფის წევრია, რომელიც ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე მუშაობს. საქართველოს „პირველი არხი“ გიორგი ბაბუაძეს კანადაში დაუკავშირდა და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა თხოვნით, სიამოვნებით გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

— ბატონო გიორგი, რამდენი ხანია, რაც თქვენმა ჯგუფმა „კოვიდ 19“-ის ვაქცინაზე დაიწყო მუშაობა?

— გამოცხადდა თუ არა პანდემია, დაახლოებით ერთ კვირაში დავიწყეთ მუშაობა. კანადის მთავრობამ გამოთქვა მზაობა, რომ დააფინანსებდა კვლევებს. ერთ კვირაში შევუდექით ამ საქმეს. ჩვენ ვმუშაობთ მესამე ტიპის ვაქცინაზე, რომელიც არ საჭიროებს ცოცხალი ან ანტივირუსის შეყვანას ორგანიზმში. ეს არის კონკრეტული დნმ პლატფორმის მეშვეობით, კონკრეტული ვირუსის ანტიგენის შეყვანის მექანიზმი. რაკი პლატფორმა უკვე მზად იყო, ჩვენ მაშინვე შევუდექით ამ საქმეს და ორი თვეც არ დაგვჭირდა, მზად გვქონდა ვაქცინა.

— ვიცით, რომ პრეკლინიკურ ფაზაში ხართ. როდის დაიწყება უშუალოდ კლინიკური ფაზა? ანუ როდის გამოცდით ვაქცინას ადამიანებზე?

— ამას სჭირდება გარკვეული დრო. 30-40 დღე გვაშორებს პრეკლინიკური ფაზის საბოლოო პასუხებს, თუმცა, ეს ხელს არ გვიშლის, კლინიკურ ფაზაში გადავიდეთ. კლინიკურ ფაზაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს პარალელურად ან მას შემდეგ, რაც გვექნება პირველი უჯრედული იმუნური პასუხი მაინც, 28 დღის შემდეგ პირველი ვაქცინაციიდან. უბრალოდ, ეს დაკავშირებულია დროსთან, ყველაფერს სჭირდება საბუთები, ფორმალობა, ოფიციალური მონაცემები, თანხები.

— რომ დავაზუსტოთ, ცხოველებზე უკვე გამოიცადა პრეპარატი?

— ცხოველებზე ჯერ არ დასრულებულა ექსპერიმენტები. გამოცდა მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის ცხოველზე. სრული პასუხი ყველა ტიპის ცხოველიდან გვექნება 15 ივნისისთვის.

— როგორია მაქსიმალური ვადა, როდის შეიძლება გადახვიდეთ კლინიკურ ეტაპზე, რას ვარაუდობთ?

— ახლა ვაწარმოებთ ინტენსიურ მოლაპარაკებებს კანადის მთავრობასთან, არიან დაინტერესებული კომპანიები, უშუალოდ კანადის სახელმწიფოსაც დიდი ინტერესი აქვს ამ ვაქცინასთან დაკავშირებით და ველოდებით. ჯერ მიმდინარეობს თითოეული დეტალის განხილვა, რა გვჭირდება, რამდენად არის მზაობა ორივე მხრიდან. დაახლოებით ორ კვირაში გვეცოდინება, შევალთ თუ არა კლინიკურ ფაზაში ამ ერთი თვის განმავლობაში.

— მეცნიერები, საერთაშორისო გამოცემები, აქტიურად საუბრობენ, რომ ახალი კორონავირუსი მარტივად განიცდის მუტაციას. რამდენად რთულია უშუალოდ ასეთი ტიპის ვირუსის ვაქცინაზე მუშაობა?

— კარგი კითხვაა. ვირუსი საათების და დღეების მიხედვით არ განიცდის მუტაციას. ვირუსმა შეიძლება, განიცადოს მუტაცია წელიწადში, ორ წელიწადში, ათ წელიწადში და ა.შ. ეს ჩვენს სამუშაო პროცესზე არანაირად არ ახდენს გავლენას.

— თუ ყველაფერი წავიდა კარგი და სასურველი სცენარით, როდის შეიძლება ითქვას, რომ ვაქცინას უკვე ფართოდ გამოვიყენებთ ადამიანებში?

— დღევანდელი ტექნოლოგიები რომ არა, ვაქცინის დამზადებას დასჭირდებოდაა ათეულობით წლები. თუმცა, რაკი დღეს გვაქვს ასეთი ტექნოლოგიები, საზოგადოების მხარდაჭერა და სხვადასხვა ორგანიზაცია გამოთქვამს მზაობას, დახარჯონ შესაბამისი თანხები, ვიტყოდი, რომ კლინიკური ფაზის დასასრული შეიძლება ვივარაუდოთ სექტემბერში ან ოქტომბრის ბოლოსთვის.

— იმ შემთხვევაში, თუ ვაქცინის შემუშავება გაჭიანურდა, რამდენად არის შესაძლებელი, სხვა მეთოდით დამარცხდეს „კოვიდ 19“, თუნდაც სხვა მედიკამენტების გამოყენებით?

— საზოგადოებას რომ განვუმარტოთ, დღეს ვაქცინაზე მსოფლიო მასშტაბით 35 სხვადასხვა, ხოლო უშუალოდ მედიკამენტის შექმნაზე 45 ჯგუფი მუშაობს. თუ მედიკამენტით შესაძლებელი გახდება მკურნალობა, რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვნად შეგვიწყობს ხელს კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

— რომ არა ლუგარის ლაბორატორია, გაუჭირდებოდა თუ არა საქართველოს პროცესის მართვა?

— ძალიან მიხარია და ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენი ქვეყანა, ძალიან კარგად ართმევს თავს. პაატა იმნაძე, თენგიზ ცერცვაძე, ამირან გამყრელიძე ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ. ვფიქრობ, რომ არა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, არა მარტო ამ მხრივ, არამედ სხვა მხრივადაც ძალიან ცუდი შედეგები გვექნებოდა. ვფიქრობ, დაავადებათა კონტროლის ცენტრი უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. თქვენ ალბათ გახსოვთ ბინძური პიარი, რომელიც აგორებული იყო ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ. ახლა ვფიქრობ, ხალხი დაინახავს, რა შრომას ეწევიან ლუგარის ცენტრი, დაავადებათა კონტროლის ცენტრი და რა პროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე.

— ლუგარის ლაბორატორია ახსენეთ, ჩვენმა მოსახლეობამ ცოტა ხნის წინ შეიტყო, რომ ლუგარის ლაბორატორიას გენეტიკური კოდის შესწავლა, გამოკვლევა და ამის მეშვეობით ინფიცირების შესაძლო წყაროს დადგენაც შეუძლია. მარტივად რომ ავხსნათ, რას აძლევს ეს ქვეყანას?

— პირველ რიგში, ეს გვაძლევს შესაძლებლობას, გავავლოთ პარალელები თითოეული ვირუსის წარმოშობაზე, ანუ მოხდეს მისი კლასიფიკაცია და მონაცემთა ბაზის ატვირთვა. ეს აუცილებელია, რათა ვიცოდეთ ვირუსის წარმომავლობა — საიდან მოდის, ადგილობრივია, შემოტანილია და ა.შ. რაც შეეხება მეცნიერულ თვალსაზრისს, რომ არა ეს შესაძლებლობა, მეცნიერებას არ ექნებოდა საშუალება, შეექმნა წამალი, ვაქცინა. გენეტიკური კოდის გაშიფვრა გვეუბნება, რა კონკრეტულ ცილას ასინთეზებს ესა თუ ის მიკრობი, ვირუსი თუ ბაქტერია.

— თქვენი რეკომენდაციები რა იქნება მოსახლეობის, მთავრობის მიმართ?

— ჩემი მოწოდება იქნება, დაუჯერონ დაავადებათა კონტროლის ცენტრს და პროფესიონალებს, რომლებიც დროულად იძლევიან რჩევებს, რეკომენდაციებს. ეს აუცილებელია კონკრეტულ დროში მოქმედებისთვის. ამიტომაც არის, რომ საქართველო ერთ-ერთ კარგ მდგომარეობაშია.

— რა დროს ატარებს ლაბორატორიაში მეცნიერი, ამ შემთხვევაში თქვენ, რომელიც მუშაობთ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე?

— ლაბორატორიაში დრო არ არსებობს, არ ვიცი, არ ვითვლი. ალბათ, 80 საათზე მეტს კვირაში, ყოველდღე ვმუშაობ, შაბათ-კვირის ჩათვლით. ახლაც აქ ვარ.

1TV

ღმერთი დაიფარავს მთელ მსოფლიოს და საქართველოს!

ამ დღეებში ყურადღების ცენტრში მოექცა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენი რენდი ვებერი, რომელმაც ცრემლმორეულმა ილოცა და უფალს ამერიკის შეწყალება სთხოვა! გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელმა კონგრესმენმა არა კორონავირუსის ეპიდამიის, „არამედ 2017 წლის აპრილში ერთი და იმავე სქესის ადამიანთა ქორწინების დაკანონებისა და ქვეყანაში განხორციელებული აბორტების გამო აღავლინა ლოცვა და ღმერთს პატიება შესთხოვა“.

ჩვენი აზრით, მთავარია, არა როდის და სად ილოცა კონგრესმენმა, არამედ ის, რომ „ტირილით ილოცა და უფალს ამერიკის შეწყალება სთხოვა!“ ეს ფაქტი კი, საოცრად ესადაგება დღევანდელობას, უნდა ვილოცოთ ყველამ, ილოცოს მსოფლიომ, ღმერთისადმი შეწყალების თხოვნით.

მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმენი ვებერი საქართველოსადმი განწყობილია კრიტიკულად და უერთდება სანქციების დაწესებას, მისი რწმენა ღმერთისადმი უდავოდ სამაგალითოა და იმსახურებს პატივისცემას.

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“, თავისი ასობით ათასი მრავალ განსაცდელგამოვლილი ადამიანების ერთობა, უფალს ევედრება ხალხის და ქვეყნის გადარჩენას თავსდატეხილი უბედურებისგან და ამ ლოცვა-ევედრებაში ერთიანია სრულიად საქართველო.



ღმერთი ჰფარავდეს საქართველოს და მთელ მსოფლიოს. ამინ!

გურამ სალარაძე,
ალიანს „არიერგარდის“ თავმჯდომარე.

ძალა აღმართს ხნავს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას!

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

მიიღეთ ფოთელების გულითადი მადლობა ნათელი გონებით ქვეყნის მართვისა და იმ დიდი ღვაწლისთვის, რასაც ეწევით კორონავირუსის უხილავი სენისგან ქვეყნის გადასარჩენად.

ძველთაგან მსმენია, როცა საქართველოს ძალიან გაუჭირდებოდა, მამაზეციერი აუცილებლად მოუვლენდა ქვეყანას გონიერ კაცს, რომელთა სიცოცხლე ქართველობას გადაარჩენდაო. ისტორიაში არაერთი მაგალითია ამისა! დღესაც ნათლად ჩანს, თუ შევინარჩუნებთ სიმშვიდეს და გონიერებას, ამ ვირუსსაც სხვა ქვეყნებზე უფრო ნაკლები დანაკარგით დავამარცხებთ.

წინ უმძიმესი ბრძოლა გველოდება ეკონომიკის ასაღორძინებლად. მაგრამ, ბატონო პრემიერო, ხალხს თქვენდამი, ხელისუფლებისადმი რწმენა უკვე გაუჩნდა. სადაც რწმენაა, იქ ძალაც გამოჩნდება და, ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხნავსო. სირცხვილია, საქართველოს შესაძლებლობების მქონე ქვეყანა მათხოვრად გამოიყურებოდეს!

ნუთუ ისე მოკვდა ქართველობა, რომ ქვეყანა ვერ მოვაღორძინეროთ და წელში ვერ გავმართოთ! ჯერ მარტო ფოთის ეკონომიკური პოტენციალი, (ნავსადგურის სიკეთე, სამრეწველო თევზჭერის განვითარება, ბუნებრივი სასუქების, ტორფისა და საპროპელის მოპოვება და სხვა საკმაოდ ხელშესახები ეკონომიკური ბერკეტებია ჩართული ქვეყნის განვითარების საქმეში. საქართველოს ყველა კუთხე-რეგიონს გააჩნია ასეთი გამოუყენებელი პოტენციალი. ეს ყველაფერი მოძრაობაშია მოსაყვანი.

ამის გაკეთება კი შეუძლია ქვეყნის ისეთ ხელმძღვანელს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ბატონო პრემიერო.

სამუდამოდ მოიგეთ ფოთელების გული, რომ ნება დართეთ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქცია-გაფართოებისა. ეს ნამდვილად გონივრული სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა.

ფოთელები ყოველთვის გვერდში გვიგულეთ, ჩვენი გჯეროდეთ, არასდროს გიღალატებთ!

ომარ ხუხუნი,
ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე.

საღდგომო ლიტურგია შაბათს 23 საათზე დაიწყება

დაწესებული კომენდანტის საათის პირობების მიუხედავად, საღდგომო ლიტურგია საქართველოს ეკლესიებში შაბათს 23 საათიდან აღევლინება. ამის შესახებ სამების საკათედრო ტაძარში არქიდიაკონმა დემეტრე დავითაშვილმა განაცხადა.

„სამშაბათს, 16 საათზე შვიდგზის ზეთისცხება იქნება, შაბათს დილის 7 საათზე შესრულდება წესის აგება, იქნება ჟამების კითხვა, ხოლო 9 საათზე შესრულდება წმინდა ბასილი დიდის საღმრთო ლიტურგია. შაბათს საღამოს 22 საათზე წაკითხული იქნება შუაღამის ჟამი, 23 საათზე მობრძანდება მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე, ხოლო 24 საათზე დაიწყება ლიტანიობა და მას მოებმის წმინდა იოანე ოქროპირის საზეიმო, საღდგომო საღმრთო ლიტურგია“, — თქვა არქიდიაკონმა.

შეგახსენებთ, კორონავირუსის პანდემიის გამო, საქართველოში კომენდანტის საათი მოქმედებს, რომელიც 21 საათიდან 06 საათამდე ვრცელდება.

მართალს ვიტყვი...

რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი, რომელიც ექსპლუატაციაში 2013 წლის აგვისტოში შევიდა, ქვეყნის ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაა და წარმოადგენს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის რეფერალურ ლაბორატორიას.

ცენტრის მშენებლობა 2004 წელს აშშ-სა და საქართველოს მთავრობებს შორის 1997 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების და 2002 წელს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული შეთანხმების – „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენების და გამოცდილების გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – საფუძველზე დაიწყო.

როგორც ქართულმა, ისე ამერიკულმა მხარეებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ცენტრი მხოლოდ საზოგადოებრივ ჯანდაცვას ემსახურება და მისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ პერიოდულად გავრცელებული ცნობები სრული სიცრუეა. ლუგარის ლაბორატორია ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რეგიონის ყველაზე მძლავრი ლაბორატორია და ქვეყნის უსაფრთხოების ნაწილი ბიოლოგიური და სამედიცინო დაცვის თვალსაზრისით. ლუგარის ლაბორატორიას სწრაფად შეუძლია ბევრი საშიში ვირუსის და ბაქტერიის იდენტიფიცირება.

ლუგარის ლაბორატორიაში ინახება საქართველოში ბოლო 70 წლის განმავლობაში აღმოჩენილი ყველა საშიში პათოგენი, რომლებიც ტერორისტების ხელში, შესაძლოა, საშიშ იარაღად იქცეს, როგორც ეს, მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მოხდა, როდესაც ამერიკელ პოლიტიკოსებს ციმბირის წყლულის სპორების შემცველი წერილები დაეგზავნა.

ამ უნიკალური ლაბორატორიის მშენებლობა ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებით დაიწყო. მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობისა, შევარდნაძემ გადაწყვეტილება არ შეცვალა. რუსები წინააღმდეგი იყვნენ, როგორც ნავთობსადენის, ასევე წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაზეც, რის გამოც 1998 წელს შევარდნაძე ტერორისტული აქტის სამიზნე გახდა.

დღეს კი, საქართველოს ექს-პრეზიდენტი აცხადებს, რომ ლუგარის ლაბორატორია მისი იდეით აშენდა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ლუგარი მისი მეგობარი იყო და ლაბორატორიის საკითხი, ვაშინგტონში, ერთ-ერთ წვეულებაზე გადაწყდა. მისივე განმარტებით, ლუგარი მაშინ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთთან. სააკაშვილი ამბობს, რომ ლუგარის ლაბორატორია არის „კლასიკური მაგალითი“ რუსული პროპაგანდის და „ქოცების“ ტყუილების, რომლებმაც ვერ ააღებინეს ხელი მეგობრების დახმარებით საქართველოსთვის საშვილიშვილო საქმის გაკეთებაზე“. მაინც, როდის დაიწყო ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობა საქართველოში, ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა გვესაუბრება.

ირაკლი გოგავა:

პაატა იმნაძის ქვეყნიდან გაძევების მიზანი იყო ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობის შეჩერება



– სააკაშვილი აცხადებს, რომ მისი ინიციატივით აშენდა ლუგარის ლაბორატორია. თქვენი რა ინიფორმაცია გაქვთ, როდის გადაწყდა ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობა და ვინ იყო მისი ინიციატორი?

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბირთვული იარაღი, ბირთვული ტექნოლოგიები, ქიმიური და მიკრობიოლოგიური ტექნოლოგიები ახალი სახელმწიფოების ხელში აღმოჩნდა, მათ შორის საქართველოსაც ჰქონდა: მცხეთის ბირთვული რეაქტორი, ბაქტერიოფაგი, იზოტოპების კველევითი ინსტიტუტი, ფიზიკის ინსტიტუტი და ა.შ.

პენტაგონის მოთხოვნით, 1991 წელს აშშ-ში შეიქმნა პროგრამა, რომლის მიზანი იყო ამ ტექნოლოგიების ამოღება და კონტროლი. ამ პროგრამას სათავეში ჩაუდგნენ ამერიკელი სენატორები რიჩარდ ლუგარი და სამუელ ნანი.

„ნანი-ლუგარის“ პროგრამით 9 მილიარდი დაიხარჯა 1991-2012 წლებში და შედეგად უკრაინამ, ყაზახეთმა, ბელარუსმა, უზბეკეთმა, საქართველომ უარი თქვეს ბირთვულ ტექნოლოგიებზე და მასალებზე. 1997 წელს ხელი მოეწერა საქართველოს და აშშ-ს შორის „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ შეთანხმებას.

ამ შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უარი თქვა ბირთვულ ტექნოლოგიებზე, საბოლოოდ დახურა მცხეთის ატომური რეაქტორი, საიდანაც 1998 წელს გამდიდრებული ურანი შოტლანდიაში გაიტანეს. სანაცვლოდ საქართველომ მიიღო აშშ-სგან სამხედრო დახმარება „წვრთნის და აღჭურვის პროგრამა“, მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, ფინანსური დახმარება, აშშ-ს მხარდაჭერა მილსადენების პროექტებზე და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გადაწყვეტილება, რომელსაც ეუთოს სტამბოლის სამიტზე 1998 წელს მოეწერა ხელი.

ეს იყო კომპლექსური შეთანხმება და ნახსენები ხელშეკრულებაც ამის ნაწილი გახლდათ.

ბირთვულ ტექნოლოგიას დღეს მსოფლიოში სულ 9 სახელმწიფო ფლობს და 1998 წლამდე საქართველოსაც ჰქონდა. მართალია, ბირთული იარაღი არ გაგვაჩნდა, მაგრამ მისი მიღება შეგვეძლო, თუ ძალიან მოვინდომებდით და რესურსები გვექნებოდა.

მცხეთის ატომური რეაქტორის წამყვანი ფიზიკოსი, ინჟინერი ალეკო ინაშვილი ჩემი ბიძაშვილი იყო – უზომოდ განათლებული ადამიანი. მახსოვს, პირველკურსელი სტუდენტი ვიყავი და 1991 წელს ვკითხე, თუ შეგვეძლო ბირთვული იარაღის შექმნა. მან მიპასუხა, რომ ძალიან ძვირი ჯდება, ბევრი ცენტრიფუგა სჭირდებაო, მაგრამ ტექნოლოგიურ პროცესი ვიცით და კი, ჩვენი ძალებით შეგვიძლია, თუ საჭირო რაოდენობის ურანი გვექნებაო.

– გამოდის, რომ მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ჩვენ დღეს ლუგარის ლაბორატორიას ვუწოდებთ, 1997 წელს შეთანხმდა?

– დიახ, ეს ამერიკული მხარის ვალდებულება იყო, რომელიც ამ შეთანხმებით აიღეს. მსგავსი ვალდებულება უკრაინის მიმართაც ჰქონდათ, რამდენადაც ვიცი და იქაც გააკეთეს ლაბორატორიები.

– ლუგარის ლაბორატორია როდის აშენდა?

– სამშენებლო პროექტი მზადდებოდა შევარდნაძის დროს, საკუთრივ სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2004 წელს, დასრულდა 2012 წელს და ფუნქციონირება დაიწყო 2013 წელს.

– მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ლუგარის ლაბორატორია მისი აშენებულია, რატომ ამბობს ამას, თუ შეთანხმება 1997 წელს მოხდა?

– საქართველოს შემთხვევითი პრეზიდენტი სააკაშვილი ყველაზე დიდი ქოსატყუილაა, ვინც ცხოვრებაში გამიცვნია. სააკაშვილის ყოველი 10 საჯარო ნათქვამიდან, მინიმუმ, 8 არის ტყუილი. 80%-იანი შედეგი აქვს. სააკაშვილი მსოფლიო ჩემპიონია ტყუილების ომახიანად თქმის სახეობაში. ცხადია, იტყუება ლუგარის ლაბორატორიის შემთხვევაშიც. ეგ რუსული ბაზების გაყვანასაც იბრალებდა, რომელზეც შეთანხმება 1998 წელს ეუთოს სტამბოლის სამიტზე მოხდა; იბრალებდა გაზსადენების პროექტებს; 600 ეკლესიის აშენებას და, საერთოდ, სახელმწიფო საქართველო მან დააფუძნა!!!

დღეს უკრაინელებს „აბოლებს“, რომ მის დროს საქართველოში ექიმებს საშუალო ხელფასი თვეში 45000 ჰქონდათ და 140 საავადმყოფო ააშენა. ამ დღეებში უკრაინელებს ტელევიზიით უყვებოდა, როგორ ეფექტურად დაძლია 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის და ომის შედეგები, რომ ვარდნა მსოფლიოში ყველაზე დაბალი იყო თურმე. ის კი არ თქვა, რომ ქვეყანას მილიარდიანი ზარალი მიაყენა თავისი ავანტურით და 3 მილიარდი დოლარი ვალი აიღო, რომელსაც დღემდე ვიხდით. და კიდევ რამდენი ტყუილი?!

– ამ დღეებში ლუგარის ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე ამბობდა, რომ სააკაშვილმა ხელი ვერ ახლო, რადგან აშშ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილის ენდი ვებერის „ძმაკაცი ვიყავიო“, რასთან გვაქვს საქმე?

– იმედია, ეპიდემიის დასრულების შემდეგ ბატონი პაატა ეტყვის საზოგადოებას თავის სათქმელს. ახლა ამის დრო არ არის, მას ბევრი საქმე აქვს და მის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ქვეყანა. თუმცა, გავრცელდა ვიცე-პოლკოვნიკ ედუარდ ჯიშკარიანის განცხადება, სადას ის ამბობს, რომ 2009 წელს სააკაშვილის ხელისუფლება იმნაძეს აიძულებდა დაეტოვებინა საქართველო და მხოლოდ პენტაგონის და თეთრი სახლის ჩარევის შემდეგ დაანებეს თავი. პაატა იმნაძის ქვეყნიდან გაძევების მიზანი იყო ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობის შეჩერება და გაურკვეველი დროით გადადება. გაჩნდა ინფორმაცია, რომ პაატა იმნაძე დაკავებულიც კი ჰყავდათ.

– რატომ იყო საჭირო ლუგარის ლაბორატორიის მშენებლობის შეჩერება?

– რუსეთი ეჭვის თვალით უყურებდა ამ პროექტს და, ალბათ, რუსეთის მოთხოვნა იყო.

– 2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლისთავზე სააკაშვილი რატომ შეასრულებდა რუსეთის მოთხოვნას?

– სააკაშვილი რუსეთთან დიდი ხანი თანამშრომლობდა. ის ყველასთან თანამშრომლობდა, ვინც მას ფულს მისცემდა და დაეხმარებოდა ხელისუფლების მიტაცებაში. 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალებაში მას რუსეთიც დაეხმარა. 2006 წლამდე ისინი მოკავშირეები იყვნენ და აჭარაც მისცეს, თუმცა, შემდეგ სააკაშვილმა გადააგდო პუტინი და დაიწყო ქიშპი, ქართველების დეპორტაცია და ქართული პროდუქციის აკრძალვა რუსეთში.

2008 წლის ომის შემდეგ დღემდე, სააკაშვილის მთავარი შიში არის ჰაგის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო, სადაც აგვისტოს ომის საკითხის გამოძიება დღემდე მიდის. მას სჭირდებოდა და სჭირდება, რომ რუსეთმა კატეგორიულად არ მოითხოვოს მისი, როგორც ომის დამნაშავედ გამოცხადება, რასაც თავიდან პუტინი ითხოვდა, თუმცა, შემდეგ აღარ ახსენებს ამ საკითხს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

„ᲣᲙᲕᲔ 10%-ᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲗᲐᲪ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲘᲛ ᲪᲮᲠᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ „ᲓᲐᲐᲮᲕᲔᲚᲐ“ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲣᲠᲘᲖᲛᲘ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲒᲕᲔᲛᲮᲝ!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ 10-12 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲝᲡ

— ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲐᲐᲢᲐ, საქართველოში თუ არის იმის პერსპექტივა, რომ სოფელს დაუბრუნდეს მოსახლეობა, მათ შორის, ახლადდაბრუნებული მიგრანტებიც? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ საამისოდ?

— სოფლიდან წასული ადამიანები, რომელთაც სხვა საცხოვრისი არ გააჩნიათ სოფლის გარდა, რა თქმა უნდა, სოფელს უნდა დაუბრუნდნენ. ნომერ პირველი პრობლემა, რომელიც გვაქვს და გვექნება უახლოეს პერიოდში, ეს არის სასურსათო პრობლემა. იმედი იმისა, რომ იმპორტი ამ ფასებში შენარჩუნდება, სასაცილოა. ფასები აუცილებლად გაიზრდება. ამ ფასებს გაზრდის რუსეთი, საიდანაც შემოგვაქვს ხორბალი. უკრაინა უკვე აღარ ეწევა ხორბლის ექსპორტს, ყაზახეთს არ აქვს ხორბალი, ამერიკიდან და საფრანგეთიდან ვერ შემოგვაქვს, რადგან პორტებში მუშები არ მუშაობენ. საგაზაფხულო თესვებიც უკვე დაგვიანებულია. ამიტომ მცდარია იმით დაიმედება, რომ ამას გლეხი თავად მიხედავს. თუ არ ჩამოყალიბდა სახელმწიფოს სწორი აგრარული პოლიტიკა და სახელმწიფომ არ იკისრა სოფლის მეურნეობის განვითარებაში მაორგანიზებელი და მხარდამჭერი ფუნქცია, არაფერი გამოვა. სოფლის მეურნეობის მინდობა ბაზარზე მცდარი ხედვაა. ეს მე ბევრად ადრე განვაცხადე ტელევიზიით, რომელსაც, სხვათა შორის, ახლა ყველა იმეორებს.

— კონკრეტულად სოფლის მეურნეობის რომელ დარგებზე უნდა გაამახვილოს სახელმწიფომ ყურადღება?

— უპირველეს ყოვლისა, მარცვლეულზე. აქ საუბარია ხორბალზე, სიმინდზე (დასავლეთ საქართველოში) და მეცხოველეობის განვითარებაზე. მეცხოველეობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ასევე, ღორს. ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს მეფრინველეობის განვითარებას. ჩვენ ვართ დიდი ტრადიციების ქვეყანა და ყოველთვის დიდი რაოდენობით მოვიხმარდით ქათამს. ანდაზაც კი გვაქვს ქათამთან დაკავშირებით, „ძროხა დაკლეს, ზედ წამაკლეს, ცხვარი დაკლეს, ზედ წამაკლეს, ღორი დაკლეს, ზედ წამაკლესო“. ხორცის იმ მასაში, რომელსაც ქართველი კაცი წლის განმავლობაში იყენებს, ფრინველის ხორცს 50% უჭირავს, საქონელს — 25%, ღორს — სადღაც 20%. დანარჩენია ცხვარი, თხა და ბოცვერი, მაგრამ ბოცვერზე ჯერჯერობით ისეთი მოთხოვნილება არ არის, ის მაინც დამხმარედ უნდა ჩავთვალოთ. ქათამზე კი განსაკუთრებული აქცენტი უნდა გავაკეთოთ, რადგან ცილის ყველაზე მაღალი შემცველია ქათმის 100 გრამი ხორცი. შემდეგ მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცში ცილის შემცველობა, ხოლო ღორის ხორცში ყველაზე დაბალია ცილის შემცველობა.

— რა მდგომარეობაშია ჩვენი მეფრინველეობის დარგი?

— ჩვენი მეფრინველეობა მძიმე დღეშია. 90-იანი წლების პირველ ნახევარში არსებული 75 მეფრინველეობის ფაბრიკიდან ქვეყანაში დარჩა სულ რამდენიმე. ეს იმისთვის მოხდა, რომ დარგი საბოლოოდ გაენადგურებინათ და ქვეყანაში ეზეიმა იმპორტს. გაყინული ქათმის ხორცის დაახლოებით 75-ათასტონიანი იმპორტი გვაქვს, რაც კატასტროფაა. 2005 წლიდან მოყოლებული, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის ყველა პირველადი პროდუქცია გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან, დამატებითი ღირებულების გადასახადი შენარჩუნებულია მხოლოდ ქათმის ნედლ ხორცზე. ეს დანაშაულია. ბოლო 15 წლის მანძილზე საქართველო რატომღაც აშენებდა სახელმწიფოს, სადაც ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი იყო ტურიზმი, მომსახურება და იმპორტი. ამ დროს ერთი „დაახველა“ ტურიზმმა და დაგვემხო თავზე ყველაფერი, დაგვემხო მთელი მისი მომსახურება.

— იმთავითვე სპეციალისტები ამბობდნენ, რომ არასწორი იყო ტურიზმზე აქცენტის გადატანა, მაგრამ ტურიზმის სფერო მოკლევადიან პერიოდში წარმატების ფორმულად იქცა.

— ეს არასწორი იყო. ჩვენი მომავალი არის მწარმოებლური სოფლის მეურნეობის განვითარება. ეს ქვეყანა სამოთხეა, კოსმოსიდან რომ დახედოთ, საოცარი სილამაზეა, მწვანეა ყველაფერი, ზევით ყველაფერი თეთრია, რადგან ყინულოვანია, ხოლო ქვევით ყველაფერი ოქროსფერია, რადგან უდაბნოა. ეს მართლაც სამოთხეა და აქ ე.წ. ფსევდოლიბერალური, ლიბერტარიანული ხედვები სისულელეა. ამ მიწას ისეთი მადლი გააჩნია, მას თავისუფლად შეუძლია გამოკვებოს ამ მიწაზე მცხოვრები 10-12 მილიონი ადამიანი. მართალია, დღეს აქ 4 მილიონი კაციც არ ცხოვრობს, მაგრამ მისი შესაძლებლობა გაცილებით მეტია. ამიტომ, თუ ჩვენ ლიბერტარიანული ხედვებით ვივლით, მაშინ არც ხორბალი უნდა ვაწარმოოთ, არც ხილი, ციტრუსი და ჩაი, რადგან ხორბალთან მიმართებით ნაკლები უპირატესობა გვაქვს რუსეთთან, ხოლო ჩაის, ხილის თვალსაზრისით ნაკლები უპირატესობა გვაქვს ჩინეთთან მიმართებით. სინამდვილეში, აქცენტი უნდა გავაკეთოთ მარცვლეულის და მეცხოველეობის განვითარებაზე და მეცხოველეობაშიც ყოველნაირად ხელი უნდა შევუწყოთ ოჯახებს მეფრინველეობის კუთხით, ან ე.წ. ჭრელი ქათმის წარმოებას. ამის უდიდესი გამოცდილება და ტრადიცია საქართველოს ჰქონდა. 1913 წლის მონაცემებით, მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ საქართველოში 25 მილიონი ჭრელი ფრთა-ქათამი ჰყავდათ, იგივე ციფრი იყო შენარჩუნებული 1921 წელსაც. ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა აღვადგინოთ. თუ მოსახლეობა ჩამოვა საზღვარგარეთიდან, რომელიც ოდესღაც სოფლიდან წავიდა და ახლა სოფელს დაუბრუნდება, ერთ-ერთი ღონისძიება უნდა იყოს ჭრელი ქათმისა და მარცვლეულის წარმოების განვითარება. სამომხმარებლო დონეზე საქართველოს ყველა კუთხეში აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ მწვანილი, რომელშიც უზარმაზარი ენერგეტიკაა ვიტამინების სახით. მწვანილი ადამიანში იმუნიტეტს ზრდის, სწორედ ეს გვჭირდება ამ ვირუსების წინააღმდეგ, რადგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორია ადამიანში იმუნური თვისებების გაძლიერება. საქართველოში ძალიან ბევრი ფერმერია, რომელიც აწარმოებს მწვანე სალათას, ვიტამინებითა და მინერალებით სავსე ამ არაჩვეულებრივ საკვებს. იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა, უნდა განვითარდეს მეხილეობა.

— ალბათ, აუცილებელია მეტი კარტოფილის მოყვანაც, რომ სხვა ქვეყნიდან შემოტანილ უხარისხო პროდუქციაზე არ ვიყოთ დამოკიდებული.

— კარტოფილი აუცილებელი პროდუქტია. მარნეულში, ბოლნისში, ახალციხეში, ახალქალაქში ხდება მისი მოყვანა. ასევე, რაჭაშიც შეიძლება, სვანეთშიც, მაგრამ აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან ეს უნდა იყოს კარტოფილის არავირუსული სათესლე მასალა. სხვათა შორის, დღეს მარცვლეულის სათესლე მასალაც დიდი პრობლემაა. ამ ხელისუფლების სერიოზული შეცდომა იყო, რომ გააუქმეს ქვეყანაში ჯიშთა გამოცდისა და თესლის წარმოების სახელმწიფო კომპანია, რომლის არსებობაც გათვალისწინებული გახლდათ ევროკავშირში ასოცირების ხელშეკრულებით. ამ კომპანიამ თავისი არსებობის ოთხი წლის მანძილზე გამოსცადა ხორბლის 2 ათეული ჯიში, კარტოფილის რამდენიმე ჯიში, ქერის ჯიში, რადგან ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, ვერ დავთესავთ ვერაფერს, თუ მან არ გაიარა ჯიშთა გამოცდა. ერთი წელია, ეს სტრუქტურა გაუქმებულია, ხოლო როცა ეს სტრუქტურა ფეხზე იდგა, ფლობდა 200 ჰექტრამდე მიწას, ტექნიკას, ეს შეაერთეს გაკოტრებულ „მექანიზატორთან“, რომელმაც ფულები შეჭამა და მთელი ეს ქონება ჩადო გირაოში. ეს ისეთი დანაშაულია, რომლის გამოც დამნაშავე პირებმა პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

— ახლა დაგვიანებულია თანხების ჩადება სოფლის მეურნეობაში?

— ახლა უნდა გამოიყოს ფული მარცვლეულისა და მეცხოველეობისთვის. სამწუხაროდ, ეს გადაიდო რამდენიმე თვით, რადგან ახლა სათესლე მასალა არ გვაქვს. თუმცა, მეცხოველეობისთვის თანხების გამოყოფა დაგვიანებული არ არის, ბოლოს და ბოლოს, სუბსიდირება მოვახდინოთ. მაგალითად, მეფრინველეობაში 18%-იანი დღგ გავაუქმოთ. ამას გარდა, თუ ყურადღებას მიაქცევთ პრეზიდენტ ტრამპის გამოსვლას, მან არაერთხელ აღნიშნა, მიირთვით რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ცხელი ქათმის ბულიონი, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქათმის ჩიხირთმა, რაც ძალიან სასარგებლოა ასეთ დროს. ყველაფერი ადგილობრივი უნდა ვაწარმოოთ, მთაში მცხოვრებ მოსახლეობას სუბსიდიები უნდა დავუნიშნოთ პირუტყვზე, ვთქვათ, მსხვილფეხა რქოსანზე 100 ლარი, ხბოზე — ოდნავ ნაკლები.

— ხელისუფლება გვაიმედებს, რომ ცხრა ძირითად პროდუქციაზე ფასები არ გაიზრდება. ეს დანაპირები შესრულდება?

— იმ ცხრა პროდუქტზე, რომელზეც სახელმწიფო ამბობს, ფასები არ გაიზრდებაო, უკვე 10%-ითაც გაიზარდა და მეტითაც. მე ეს გადავამოწმე ბრინჯზე, წიწიბურაზე და ა.შ. სოფლის მეურნეობა ეს არის რეგულირებადი დარგი და სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის გარეშე მის განვითარებას პერსპექტივა არ აქვს. ახლავე უნდა შემუშავდეს ანტიკრიზისული ბიუჯეტი, სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები ეკონომიკის განვითარებაში, ეს უნდა იყოს რეალური ეკონომიკის სექტორი, ჩვენ უნდა ვიყოთ მწარმოებელი ერი ამ მიწაზე და არა ოდენ ტურიზმსა და მომსახურებაზე გადაგებული.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

„ᲢᲝᲪᲘᲚᲘᲖᲣᲛᲐᲑᲘ“ - ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ

ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠᲘ �პᲐᲗᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲓᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „�კᲝᲕᲘᲓ-19“-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ „ᲢᲝᲪᲘᲚᲘᲖᲣᲛᲐᲑᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲖᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის ხელმძღვანელის, თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, სხვადასხვა ქვეყნებში გრძელდება კლინიკური კვლევები COVID-19-ის სამკურნალოდ ეფექტიანი მედიკამენტის დასადგენად.

„მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და იმედისმომცემია Tocilizumab (Actemra), რომელიც წარმოადგენს მონოკლონურ ანტისხეულებს IL-6-ის მიმართ და შეუძლია, სერიოზული გავლენა მოახდინოს ე.წ. ციტოკინურ შტორმზე, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს COVID-19-ის პათოგენეზში და ამ გზით გააუმჯობესოს დაავადების გამოსავალი.

2020 წლის 26 მარტს აშშ სურსათის და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) გასცა რეკომენდაცია (approval) „ტოცილიზუმაბის“ COVID-19-ით პაციენტებში კლინიკური კვლევის მე-3 ფაზაზე.

საქართველოში „ტოცილიზუმაბი“ გამოიყენება რევმატოიდული ართრიტის (მოზრდილებში) და იუვენილური რევმატოიდული ართრიტის სამკურნალოდ“, — აცხადებს თენგიზ ცერცვაძე.

ცერცვაძე განმარტავს, რომ „ტოცილიზუმაბი“ ძლიერმოქმედი პრეპარატია, რომელსაც აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ჩვენებები, უკუჩვენებები, შეზღუდვები და მისი არასწორი გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა, გააუარესოს პაციენტის მდგომარეობა.

„ამიტომ, „ტოცილიზუმაბის“ გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ მძიმედ მიმდინარე COVID-19-ით პაციენტებში, როდესაც სხვა მედიკამენტებით მკურნალობა ნაკლებეფექტიანია. ამ მედიკამენტის დანიშვნა და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი დონის კლინიკებში, გამოცდილი სპეციალისტების გადაწყვეტილებით და მეთვალყურეობით.

ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრში ა.წ. 25 მარტს შემოვიდა პაციენტი — ე.ბ., ქალი, 41 წლის, COVID-19-ის დიაგნოზით (პაციენტი მანამდე ბინაზე მკურნალობდა სამი დღის განმავლობაში). შემოსვლისას პაციენტის მდგომარეობა იყო მძიმე, მოთავსდა რეანიმაციის ბლოკში. ჩატარებული მკურნალობის მიუხედავად, პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ტოცილიზუმაბის“ გამოყენების თაობაზე. პროტოკოლის მიხედვით გაკეთდა პრეპარატის ორჯერადი გადასხმა 12-საათიანი ინტერვალით, რის შემდეგაც პაციენტის მდგომარეობა და ლაბორატორიული მაჩვენებლები მკვეთრად გაუმჯობესდა. ამჟამად პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება და მოკლე დროში შესაძლებელი იქნება მისი კლინიკიდან ბინაზე გაწერა (რა თქმა უნდა, SARS-Cov-2-ზე კვლევით ორი უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ).

აღნიშნული შემთხვევა იმით არის საინტერესო, რომ საქართველოში პირველად მოხდა „ტოცილიზუმაბის“ გამოყენება COVID-19-ით პაციენტის სამკურნალოდ და ამ შემთხვევამ გვიჩვენა, რომ „ტოცილიზუმაბი“ შესაძლოა, სასარგებლო გამოდგეს COVID-19-ით მძიმე ავადმყოფების სამკურნალოდ (ყოველ შემთხვევაში ცალკეულ ავადმყოფებთან), მაგრამ მისი გამოყენება აუცილებლად უნდა მოხდეს ჩვენებების და უკუჩვენებების მკაცრად გათვალისწინებით“, — აცხადებს თენგიზ ცერცვაძე.

ᲠᲔᲛᲓᲔᲡᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲪᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲛᲘᲐ

COVID-19-ით ინფიცირებულ ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა ორ-მესამედზე ოდნავ მეტის მდგომარეობა ექსპერიმენტული ანტივირუსული პრეპარატით მკურნალობის შემდეგ გაუმჯობესდა. ამის შესახებ სულ ახლახან დასრულებული ცდების შედეგები მიუთითებს.

კორონავირუს SARS-Cov-2-ით გამოწვეული ახალი დაავადება COVID-19-ის პაციენტები ექსპერიმენტულ პრეპარატ რემდესივირის ტესტირების პროგრამაში მონაწილეობდნენ. მართალია, ეს გახლავთ რემდესივირის შესახებ ამ დრომდე ჩატარებული უდიდესი ცდა, მაგრამ მასში მხოლოდ 53 პაციენტი მონაწილეობდა, რაც არც თუ ისე დიდი რიცხვია და ექსპერტები ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან თავს იკავებენ. კვლევა წამყვან სამედიცინო ჟურნალ The New England Journal of Medicine-ში გამოქვეყნდა.

„ამ ეტაპზე არ არსებობს COVID-19-ის სამკურნალო დადასტურებული საშუალება. ამ მონაცემებიდან საბოლოო დასკვნების გამოტანა არ შეგვიძლია, მაგრამ იმედისმომცემია დაკვირვებები ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა ამ ჯგუფზე, რომელიც რემდესივირს იღებდა“, — ამბობს კვლევის ავტორი, სიდარ-საინაის სამედიცინო ცენტრის ეპიდემიოლოგიური ჰოსპიტლის დირექტორი, დოქტორი ჯონათან გრეინი. რემდესივირის მწარმოებელი კომპანიის, Gilead-ის უფროსი სამედიცინო ოფიცერი მერდად პერსი მონაცემებს „იმედისმომცემს“, მაგრამ „შეზღუდულს“ უწოდებს.

61-მა პაციენტმა რემდესივირის სულ მცირე ერთი დოზა მიიღო 10 დღის განმავლობაში, ე.წ. თანაგრძნობით სარგებლობის საფუძველზე — პროგრამა, რომელიც ადამიანებს ჯერ დაუდასტურებელი პრეპარატების გამოყენების უფლებას აძლევს მაშინ, როდესაც არ არსებობს სხვა სამკურნალო საშუალება. რვა მათგანის ანალიზების აღება შეუძლებელი აღმოჩნდა (შვიდი პაციენტის შესახებ არ არსებობს მკურნალობის შემდგომი მონაცემები, ერთთან კი მოხდა დოზირების შეცდომა). დარჩენილი 53 პაციენტიდან, რომელთა მონაცემების ანალიზიც მოხდა, 22 აშშ-ში იმყოფებოდა, 22 — ევროპასა და კანადაში, 9 — იაპონიაში. 30 პაციენტს (57%) ესაჭიროებოდა მექანიკური ვენტილაცია, ოთხს (8%) — ექსტრაკორპორალური მემბრანული ოქსიგენაცია.

საშუალოდ 18 დღის განმავლობაში, გაუმჯობესდა 36 პაციენტის მდგომარეობა (68%). მექანიკური ვენტილაციის საჭიროების მქონე 30 პაციენტიდან 17-ს ასეთი დახმარება აღარ დასჭირდა, ანუ სასუნთქი აპარატებიდან მოხსნეს. სახლში გაეწერა სულ 25 პაციენტი (47%), შვიდი კი (13%) გარდაიცვალა; სიკვდილიანობა ყველაზე მაღალი, 18 პროცენტი (34-დან 6) აღმოჩნდა ინვაზიური ვენტილაციის საჭიროების მქონე პაციენტებში, 5 პროცენტი კი (19-დან 1) მათ შორის, ვისაც ინვაზიური ვენტილაცია არ სჭირდებოდა.

უკეთესი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს რემდესივირის რანდომიზებული კლინიკური ცდები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს. ორი ასეთი კვლევა ხორციელდება ჩინეთშიც, რომელთა შედეგებიც აპრილის შუა რიცხვებში გახდება ცნობილი.

რემდესივირს თავის მხრივ ტესტავენ როგორც მწარმოებელი Gilead-ი, ისე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

1TV.GE

ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲐᲤᲓᲔᲑᲐ, ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ქონების ბაზარზე დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი და ეს პირველ რიგში ფასს შეეხება. ამ ეტაპზე რეალიზაცია მთლიანად შეჩერებულია, რაც მალე ასახვას ფასზეც იქონიებს. ვარაუდობენ, რომ მაისიდან უძრავი ქონება გაიაფებას დაიწყებს და ფასები საგრძნობლად შემცირდება.

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კორონავირუსის გამო სამშენებლო სექტორსა და უძრავი ქონების მიმართულებით შემცირებულ მოთხოვნაზე საუბრობს. მისი შეფასებით, ეს ახლა სავსებით ბუნებრივია, რადგანაც მოქალაქეებს, უბრალოდ, სხვა პრიორიტეტები აქვთ.

— უძრავი ქონება ის პროდუქტი არ არის, რომ ადამიანმა გზად შემოიაროს და ბარემ იყიდოს. მისი შეძენა მთელი პროცესია, მოდიან, არჩევენ, შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას. ახლა სწორედ ეს პროცესია შენელებული. გაიყიდა ბოლო ბინები, რომლებიც წინა თვეში იყო შერჩეული. ახლა უკვე მიილია ეს ნაკადი და მგონი, ბინების გაყიდვებიც გაჩერდება. ეს არ ნიშნავს, რომ მათ ბინა აღარ უნდათ, უბრალოდ, ახლა მათთვის არასწორი დროა. ახლა არის, პრაქტიკულად, საომარი მდგომარეობა, — აცხადებს როსტომაშვილი.

„ყოველთვის ბევრად უფრო რთული გადასატანია პოსტკრიზისული პერიოდები. ამიტომ საჭიროა, მომზადდეს რაც შეიძლება მეტი წინადადება ინვესტორებისთვის. ჩვენი ქვეყნის გადარჩენა და განვითარება 100%-ით დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე და ახლა პროგრამები და წინადადებები უკვე უნდა მოვამზადოთ. თუნდაც, ადგილობრივი ხელისუფლებებიც უნდა მუშაობდნენ ამ მიმართულებით. თუ რაღაც პროექტები პატარა-პატარა ხარვეზების გამოა შეჩერებული, მათი დამტკიცება და ნებართვების გაცემა უნდა მოხდეს სწრაფად, რომ გამზადდეს საინვესტიციო წინადადებებისთვის“, — განაცხადა „ბიზნეს მედიასთან“ როსტომაშვილმა.

თბილისში, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, უძრავი ქონების შეძენის მსურველთა რაოდენობა 33%-ით შემცირდა. მიზეზი, რა თქმა უნდა, კორონავირუსის ეპიდემიაა.

მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონების ფასები ამ ეტაპისთვის სტაბილურია, ანალიტიკოსების აზრით, მაისში ფასი კლებას დაიწყებს. ზაფხულისთვის მოსახლეობის გადახდისუნარიანობა საკმაოდ დაბალი იქნება, შესაბამისად, მოსალოდნელია უძრავი ქონების გაიაფება.

სამშენებლო კომპანია „აიჯიეს ჯგუფის“ ხელმძღვანელის **ᲨᲝᲗᲐ ᲒᲣᲯᲐᲑᲘᲫᲘᲡ** აზრით, თუკი უძრავი ქონების სეგმენტში გაიაფების ფაქტი გამოვლინდა, მას დომინოს პრინციპით მიჰყვება ყველა და სექტორი გამოუვალ კრიზისში აღმოჩნდება.

— სიტუაცია არის რთული, რაც ყველაზე მეტად აზარალებს უძრავი ქონების ბიზნესს - დეველოპერებს და მენაშენეებს. აქამდე ყველა მათგანი სულდგმულობდა მოზიდული ინვესტიციებითა და საბანკო სესხებით. ჩვენი სფერო პირდაპირ არის საბანკო სექტორზე მიბმული. ძალიან მცირეა ნაწილი, რომელიც უძრავ ქონებას თავისი ნაღდი ფულით ყიდულობს. ამიტომ ახლა ორმაგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დეველოპერები, რადგან ეპიდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვის ფონზე გაყიდვა ჩერდება და პარალელურად მომხმარებლის მსყიდველუნარიანობა მკვეთრად შემცირდა.

დღესდღეობით მშენებლობაც და რეალიზაციაც გაყინულია, რაც დეველოპერებისთვის ორმაგი დარტყმაა. დიდია საფრთხე, რომ ამ პრობლემის ფონზე უძრავმა ქონებამ დაკარგოს ფასი, გაუფასურდეს. ბაზარს კრიზისულ მომენტში ახასიათებს ფასის მკვეთრი ზრდა ან გაუფასურება. შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, ერთმა კომპანიამაც რომ დააგდოს ფასი, დომინოს პრინციპით მიჰყვება ყველა და მერე წამოწევა ძნელი იქნება, ამის რისკი ბაზარზე ძალიან დიდია“, — განაცხადა გუჯაბიძემ და დასძინა, რომ ამ მდგომარეობაში ერთადერთი გამოსავალია გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება, რასაც დღევანდელი ეკონომიკური გუნდი აკეთებს კიდეც.

ვნახოთ, რა გამოვა...

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

„სადაც სიცრუეა, იქ სიმტკიცეც არ არის“...

მწერლის წინასწარმეტყველება

ოთარ ჩხეიძის „მეჩეჩის“ მხატვრული მრწამსი

ოთარ ჩხეიძის „მეჩეჩში“ დასმულმა პრობლემატიკამ — წინაპართა საქმიანობის მოშლამ, ხელოსანთა და თიხის ოსტატთა თანდათანობით გაქრობამ, საბოლოოდ კი სოფლის გაუკაცრიელებამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი ჩვენს დროში იჩინა.

ეს არც არის გასაკვირი: დიდი მწერლები ხშირად ორაკულებიც არიან, და ჩვენც ისე ხშირად უნდა ვაკითხავდეთ და ვეწაფებოდეთ მათ ნააზრევს, როგორც ძველი ბერძნები ეახლებოდნენ დელფოს სამისნოში დაბრძანებულ წინასწარმეტყველს, დიდი ომისა და განსაცდელის წინ.

„ჯებირის“ და „ბურუსის“ უშუალო მემკვიდრემ, 1956 წელს შექმნილმა „მეჩეჩმა“ წინამორბედი რომანებისგან არა მხოლოდ პერსონაჟები, არამედ საბჭოთა ხელისუფლების რისხვაც იმემკვიდრევა. ამ შერისხვის მიზეზი, კაცმა რომ თქვას, იოლი გასაგები გახლდათ, რადგან ჯერ კიდევ „ჯებირში“ წარმოაჩინა ავტორმა ის უბედურებანი, რაც საკოლმეურნეო ცხოვრების თავს მოხვევამ მოსწია ქართულ სოფელს.

„მეჩეჩში“ კი ეს პრობლემა უფრო ნიშანდობლივი ხდება. ამჯერად ავტორი საბჭოთა რეალობაში თიხის ოსტატთა გასაჭირს წარმოგვიდგენს. პატიოსან, ნიჭიერ და წინაპართა ხელობას დაწაფებულ გიგო გუნდიშვილს, თიხის სახელგანთქმული ოსტატის ქიტოს ვაჟს, ფინაგენტი — ტატო ბუზალაძე, მოსვენებას არ აძლევს. მექრთამე და მაბეზღარი საბჭოთა მოხელე, როგორც ჩანს, რეჟიმის ზოგადი სახეა. მთავრობა გიგოს აჯარიმებს, რადგან კოლმეურნეობაში არ მუშაობს, ხოლო სახლში თიხის კერამიკულ ჭურჭელს ამზადებს. ამ აბსურდულ რეალობაში პატიოსანი კაცის ხსნა მეტად რთულია, მაგრამ გიგოს დახმარებას მაინც თავს იდებს მისი რძალი (ძმის ცოლი) ირინე არჯევნელი.

როგორც ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მკვლევრებმა შენიშნეს, ამ რომანში ავტორის სათქმელს ყველაზე უკეთ სწორედ ირინე გამოხატავს. სნობური აზროვნების დებისგან შერისხული ქალი სოფელში ფუძნდება, უარს ამბობს ყმაწვილქალობის გატაცებაზე — მხატვრობაზე და ნიკო გუნდიშვილის მეუღლე ხდება. კაცისა, რომელმაც სოფელში ფეხი ვერ მოიკიდა, ქალაქს მიაშურა, ოჯახი დაგდო და ირინე ცოცხალ ქვრივად აქცია. მტკიცე და უტეხი ირინე მაინც ბოლომდე სწევს ოჯახის მძიმე ჭაპანს და შვილებს მარტო ზრდის, ბავშვებს მშობლიურ კერას არ უციებს.

გიგოს გასაჭირი კი ამით როდი ამოიწურება: ქვრივად დარჩენილს, კარის მეზობლის კოტე ომაძის რძალი — მშვენიერი ტასო შეჰყვარებია, რომელიც გონებასუსტი ქმრისა და დედამთილ-მამამთილის ტყვეობაში იტანჯება. საბოლოოდ, გიგო მიზანს ეწევა, ტასოს ცოლად შეირთავს, მაგრამ მისი მდგომარეობა უცვლელი რჩება. გიგოსაც, ირინესთან, ლადო სავანელთან და რაიკომის ყოფილ მდივან ირაკლი შუბითიძესთან ერთად თავი მეჩეჩზე ეგულება, მეჩეჩზე, რომელზეც დგომა სახიფათოა და წამიწამ შეიძლება ყველაფერი ამოყირავდეს.

ზოგადად, ამ გმირების ცხოვრება მეოცე საუკუნის საქართველოს საზოგადოების საგაა, საზოგადოებისა, რომელიც არაერთხელ უღვთოდ იგვემა უმძიმესი საბჭოთა რეჟიმისგან.

სხვათა შორის, „მეჩეჩის“ გამოქვეყნების თანადროულად, 1957 წელს, რეჟისორმა შოთა მანაგაძემ გადაიღო ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი“, რომლის შინაარსიც მაყურებელთა ფართო წრისთვის მშვენივრადაა ცნობილი. ფილმი, ცხადია, საბჭოთა პროპაგანდის ნაწილი გახლდათ-შესაბამისად, იგი ამართლებდა თიხის უკანასკნელი საბუდარელი ოსტატის-საჩინოს აყრას მშობლიური სოფლიდან და ქალაქში ჩამოსვლას. თუ „მეჩეჩის“ ავტორის და ფილმის რეჟისორის (ზოგადად იმდროინდელი პროპაგანდის) სულისკვეთებას შევაპირისპირებთ, წარმოგვიდგება აშკარა კონტრასტი.

დრომ კი სწორედ ოთარ ჩხეიძეს დაუჭირა მხარი. მწერალი მართალი აღმოჩნდა; არაბუნებრივი ეკონომიკური წყობის თავსმოხვევამ, უმკაცრესმა რეპრესიებმა და ძალმომრეობამ ქართულ სოფელს არსებობის დვრიტა გამოაცალა, სოფლის მკვიდრთა დიდმა ნაწილმა კი სარჩო-საბადებლის საშოვნელად ქალაქს მიაშურა. ასე რომ, რასაც დღეს ვხედავთ და განვიცდით, ჯერ კიდევ 50-იან წლებში იყო ნაწინასწარმეტყველევი დიდი მწერლის მიერ და, სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ არ იგულისყურა.

გიორგი ხულორდავა

უფრო ეშმაკი თუ უფრო წრფელი?

ოთარ ჩხეიძის „კვერნაქის“ მთავარი მოქმედი გმირი სანდრო ბონიძეა. მე არ ვაპირებ ამ წიგნსა და მის პიროვნებაზე საუბარს. ეს მშვენივრად გააკეთა მაია ჯალიაშვილმა ბოლოსიტყვაობად დართულ ესეში.მხოლოდ წიგნის დასკვნით ნაწილზე უნდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება.

ვისაც წაკითხული გაქვთ, იცით, რომ ამ არაჩვეულებრივი და მრავალმხრივ საყურადღებო რომანის მთავარი მოქმედი გმირი სანდრო სამჯერ ქორწინდება, მაგრამ ოჯახური სიმყუდროვისა და ბედნიერებისათვის არა, ალბათ უფრო საზოგადოებაში არსებული წესის გამო — კაცს ცოლ-შვილი უნდა ჰყავდეს. უფრო სწორად, ღრმად ჩაებეჭდა თამადის სიტყვები: კაცმა 36 წლამდე უნდა მოასწროს რამე ღირებულის შექმნაო, — მაგრამ ვერცერთ ქალს ვერ ჰგუობს სხვისი ხასა დიანას გარდა. არცერთთან ხელი არ მოუწერია (შეგნებულად, რომ მერე უკანმოუხედავად გაესტუმრებინა). მესამესთან, გურანდასთან, იძულებული გახდა სამშობიაროს ვესტიბიულში მოეწერა — ბავშვს მისი გვარი ხომ უნდა ჰქონოდა.

მერე საკუთარ ლამაზად მოწყობილ ოჯახში ხასას მაგივრად ცოლი რომ დახვდება ჩვილით, ნირწამხდარი იკითხავს: „სად არის? — იქ, აკვანში“ — პასუხობს ქალი და დიდი სიამაყით აჰხედავს“. ქალმა კარგად იცის, ვისზეც ეკითხება, მაგრამ ისიც იცის, რა პასუხი გასცეს. გურანდა სხვა ქალი გამოდგა. ამას კაცი არაფრით ელოდა. როცა მოინდომა, მოიშორა პირველი და მეორე ცოლი. ამასაც ასე უპირებდა. მის სამბრძანებლოში სხვას ვერ ჰგუობდა. ამ „არაშრომითი შემოსავლით“ აშენებული და გაწყობილი სახლით ამაყობდა. აქ იგი მეფე იყო, თუ ვინმეს, დიანასნაირ ქალს უნდა ედედოფლა, მაგრამ „ამას რაღა დამართნია, თითქოს ბევრად გონიერი ჩანდა, იმათდენსაც ვეღარ მიმხვდარა?! წავიდეს, ადგეს და წავიდეს, რო არ მოსულიყო, ბევრად უფრო უკეთესი იქნებოდა.ვითომ მიუხვედრელობით მოსდის?“

მაგრამ გურანდა სხვა ქალია.ეს იქაც გამოჩნდა, როდესაც სამშობიაროდან მარტო მოვიდა ჩვილით ხელში, სახლში კი ქმრის ხასა დახვდა. დამხვდურისათვის ნათელი გახდა, ზედმეტი იყო. იმან მისი ცოლ-შვილისა არაფერი იცოდა, ოღონდ წასვლის წინ გააფრთხილა: „განსაცდელი გელით! — ვიცი... — უთხარით, რო აქ არ დაგხვედრივართ. — ვეტყვი, როგორც იყო, სადაც სიცრუეა, იქ სიმტკიცეც არ არის. — ძლიერი ქალი ყოფილხართ“.



ეს ორი ქალის დიალოგია, მათ ქალურად გაუგეს და გაზომეს ერთმანეთი.

„სადაც სიცრუეა, იქ სიმტკიცეც არ არის“ — ძლიერი და ჭკვიანი ქალის სიტყვებია. ასეთი ქალი იმასაც მიხვდებოდა, ვინ არის მისი ქმარი, მაგრამ იგი იბრძვის და იბრძვის ბოლომდე. რისთვის იბრძვის?! ეს ბრძოლის უნარი და შინაგანი სიმტკიცე არცერთ ქალს არ აღმოაჩნდა. როდესაც სამშობიაროში ქმარი არ მოვიდა ცოლ-შვილის წასაყვანად, მამიდა მრისხანებდა: „ჩემთან დაბრუნდი, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო“.

დაც ამას ეხვეწებოდა, მან კი „მამას მოჰგვარა ძეი“.

განრისხებული სანდრო, დიანა რომ აღარ დაუხვდა სახლში, გურანდას ეცა, შენ აიძულე, რომ წასულიყო, რომ მოხვედი, იძულებააო. „— მე? მე ბიჭს მოვყევი, ბიჭი მომიძღვოდა, მეტი რა ვიცი?!“ ეს მდედრის სიტყვებია, იმ მდედრისა, რომელმაც იცის თავისი დედური და აქედან გამომდინარე ქალური ძალმოსილება, რომ მისგან მოედინება კაცობრიობა. „ — სს... ბიჭი გაიღვიძებს!“ — ეუბნება კაცს.

კაცი წონასწორობას კარგავს: „უკვე იარაღად გადაგიქცევია ჩვილი არსება. ჯერ თვალი არ აჰხელია, ცნობა არ მოსვლია და უკვე ჩაგითრევია დიდთა ამბებში“. „შენთვის, შენი ინტერესებისათვის ჩვილიც არ დაგინდვია... — ჩუმად! — ხმადაბლა, ოღონდ მტკიცედ ამბობს გურანდა, მაღლიდან თითქოს ტირილის ხმა მოესმაო“.

აქ სანდრო საბოლოოდ ხვდება, რომ ის, რასაც ამდენი ხანი აშენებდა, ელოლიავებოდა, ამაყობდა, ემსხვრევა. ემსხვრევა ის სამყარო, რომელიც მან შექმნა და რომელშიც არავის შეშვება არ უნდოდა. „— ლაპარაკსაც მიშლი?! — ჩემს სახლში, ჩემს ჭერქვეშ, ჩემს საძირკველზე ლაპარაკსაც მიშლი?!“ „ამაოდ ჰღელავ, არაფერი მესმის, — ნაძალადევი სიწყნარით მიუგებს გურანდა“.

ეს „ნაძალადევი სიწყნარე“ მიუთითებს სწორედ ქალის შინაგან დაძაბულობაზე, მთელი დიალოგის დრამატულობაზე. სანდროს უნდა, ახლავე გადაწყდეს ამ ქალის ბედი და როგორც უნდა რომ გადაწყდეს, გასაგებია, მაგრამ ბავშვი ატირდება, გურანდა „მერეო“ მიაძახებს და კიბეზე არბის. „მერეს“ ქმრის გასაგონად მტკიცედ კი მიაძახებს, მაგრამ ოთარ ჩხეიძე დიდი მწერალი არ იქნებოდა, რომ არ ეჩვენებინა, ეს მოგონილი სიმტკიცეა. ასეთ სიტუაციაში გურანდასნაირი ქალები აკვანთან ღვრიან ცრემლებს, მაგრამ ბოღმა გაინელა და „გამოვიდა კვლავ უტეხი, დაუძლეველი“. აქ კი სანდრო დაიბნა, „რა ელონა,აღარ იცოდა“. „უნდოდა ეყვირა, კედლები შეეძრა, უნდოდა ეყვირა და ხმა ვერ ამოეღო, ალღოს შეებორკა: ბავშვს ეღვიძებოდა“.

დიახ, მხოლოდ საკუთარ სისხლსა და ხორცს შეუძლია იგი გააჩუმოს, იმას, ვინც თავისი უფლებით შემოსულა საკუთარ სახლში. „როგორ შეიძლებოდა ახლა ყვირილი, არ შეიძლებოდა და თავის სახლში, თავის ჭერქვეშ ასუსულიყო, აბობოქრებულიყო და მოწურულიყო, ლამის დამსხვრეულიყო, თითქოს მყიფე რამ საგნადა ქცეულაო. უფლება აჰყროდა, დაჰკარგვოდა ყველაფერი“.

ამის გააზრება აღმოჩნდა მძიმე, ერთი ხელის მოწერით დაჰკარგა ის, „რაც ახარებდა, აამაყებდა“. ჯანდაბას ეს სახლ-კარი თავისი დგამ-ავეჯით, მაგრამ „უფლებაც რო აჰყრია“.

ეს უფლების აყრაა ახლა თავზარდამცემი, მაგრამ რისი უფლება აეყარა? „ვეღარ მოიქცევა ნებისამებრ, ვერ მოიხიბლება, ვერ შეიყვარებს, შინ ვერ მოიყვანს, ვერ გაიჭრება“. ეს, რა თქმა უნდა, უღმერთო და უზნეო კაცის აზროვნებაა, მაგრამ მისთვის ესაა ცხოვრება.

ნუ დავაბრალებთ მარტო საბჭოთა სისტემას, „კვერნაქი“ უფრო დიდი მასშტაბის ნაწარმოებია და სანდრო მარტო საბჭოეთის პროდუქტი არ გახლავთ. სანდროები მანამდეც იყვნენ და მომავალშიაც იქნებიან, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს გურანდაც: „მესამე ვეღარ დაიბნია. უფრო ეშმაკი გამოდგა თუ უფრო წრფელი?“ — ამ კითხვას ჩვენ გვიტოვებს ავტორი, სანდროს ამის გამორკვევის თავი აღარ აქვს, „რაც ახსოვს, ახსოვს, — იყო თავისუფალი, ირჩევდა ქალებსა, ჟინს იკლავდა და აბუჩად იგდებდა“.

„ნუთუ მონაპოვარიც ამას ჰქვიან?!“ თამადის ამ სიტყვებმა არ ჩააფიქრა და გადააწყვეტინა ცოლის მოყვანა? 36 წლამდე უნდა მოასწროს კაცმა რაღაც ღირებულის შექმნაო, მხედველობაში დანტე და ბაირონი ჰყავდა უპირველესად.

სანდრო ტოვებს სახლს, სამაგიეროდ აქ მისი ძე დამკვიდრდება. ხოლო როგორი იქნება ეს ძე, დიდადაა დამოკიდებული გურანდაზე. მან მოიპოვა უფლება, იცხოვროს სხვის აშენებულ სახლში, რომელიც ახლა მისი შვილისაა, შვილს კი დედა სჭირდება. რა მარტივია ყველაფერი და როგორც არ უნდა აღუდგეს ადამიანი წინ ბუნების კანონს, ბუნება უსათუოდ გაიმარჯვებს — მამის ფუძეზე შვილი დამკვიდრდება.

ლალი მიქაძე



ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ ᲩᲐᲙᲚᲐᲕᲡ – ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ 100 ᲬᲔᲚᲘᲐ, „ᲘᲡᲞᲐᲜᲙᲐᲛ“ ᲒᲐᲡᲪᲐ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲡ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲗ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲘᲡᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲫᲕᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ – ᲨᲘᲨᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲥᲐᲪ ᲙᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐᲡ, ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲡᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲘᲙᲔᲢᲐ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲗᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ: ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲘᲯᲓᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ? – ᲐᲡᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲐᲕᲚᲐᲢᲐᲙᲓᲔᲑᲘᲗᲝ.

ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ? ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲘ? – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ?

ᲐᲛ კითხვაზე პასუხის ძებნაში ამერიკელმა მეცნიერებმა 100 წლის წინანდელ მოვლენებს გადაავლეს თვალი, რომლებიც ძალიან ჰგავს ამჟამინდელს. დიდი კარანტინი სიახლეს არ წარმოადგენს: მსოფლიო მასში ზუსტად 100 წლის წინ, „ისპანკის“ სახელწოდებით ცნობილი მომაკვდინებელი ვირუსის პანდემიის დროს იმყოფებოდა. ამ ვირუსმა 50 მილიონი სიცოცხლე იმსხვერპლა; ვირუსი მსოფლიოს თითქმის ყოველმა მესამე ადამიანმა გადაიტანა, ყოველი მეათე ინფიცირებული კი დაიღუპა.

დღევანდელის მსგავსად, 1918 წელსაც პასუხად იქცა თვითიზოლაცია, ნიღბები, ქარხნებისა და მაღაზიების დაკეტვა. მაშინაც ვიღაცამ კარანტინი უფრო ადრე შემოიღო, ვიღაცამ – უფრო გვიან.

მოგვიანებით კი გაირკვა: მოგებაში დარჩა ის, ვინც მოსახლეობის და არა ეკონომიკის გადარჩენას ცდილობდა. თავიდან ყველას ერთნაირად უჭირდა, მაგრამ გრიპის შემდეგ ნორმასთან დაბრუნება უფრო სწრაფი აღმოჩნდა იქ, სადაც კარანტინი მაშინვე შემოიღეს.

„გაირკვა, რომ საკარანტინო ზომები არა მარტო ამცირებს სიკვდილიანობას, არამედ პანდემიის ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებსაც არბილებს“, – ნათქვამია კვლევაში, რომელიც „ისპანკის“ ზეგავლენას ეძღვნება აშშ-ზე, სადაც 100 წლის წინ გრიპისგან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

ᲛᲝᲕᲙᲕᲓᲗ ᲤᲔᲮᲖᲔ ᲛᲔᲓᲒᲝᲛᲜᲘ, ᲗᲣ ᲕᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲗ ᲛᲣᲮᲚᲛᲝᲛᲭᲠᲔᲙᲘᲚᲔᲑᲛᲐ?

„ᲘᲡᲞᲐᲜᲙᲘᲡ“ პანდემია ძალიან მსგავსი სცენარით ვითარდებოდა: აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ტალღისებურად. პირველი, საგაზაფხულო ძალზე სასტიკი აღმოჩნდა, მეორე, ზამთრის – კატასტროფული.

აშშ-ის დასავლეთში მდებარე ქალაქებმა, მათ შორის სიეთლმა და ლოს-ანჯელესმა დარტყმა სულ ბოლოს მიიღეს. აღმოსავლეთ სანაპიროს მეგაპოლისების გამოცდილების გათვალისწინებით, მათ ამჟამინდელის მსგავსი პრევენციული ზომები განახორციელეს, – ერთადერთ გამონაკლისს მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, ინტერნეტ-ვაჭრობა და მოსახლეობის ციფრული კონტროლი წარმოადგენს.

ამჟამინდელის მსგავსად, კეტავდნენ სკოლებს, თეატრებს, ეკლესიებს, კრძალავდნენ შეკრებებს, პანაშვიდებს, ქორწილებს, ზღუდავდნენ ვაჭრობას, აჩერებდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, შემოიღეს თვითიზოლაცია და ფიზიკური დისტანცირება, ნიღბების სავალდებულო ტარება, გამუდმებით ისმოდა მოწოდებები პირადი ჰიგიენის წესების აქტიური დაცვისა და ხელის ბანის შესახებ.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კარანტინის შემოღების თარიღებში 10-დღიანმა სხვაობამ პოსტპიდემიურ პერიოდში მრეწველობაში დასაქმებულობის მაჩვენებლის დაახლოებით 5%-იანი მატება გამოიწვია, ხოლო შეზღუდვების დამატებითმა 50-მა დღემ – სამუშაო ადგილების რაოდენობის 6,5%-იანი მატება.

„ისპანკის“ მსგავსი მაგალითები რწმენას (თავდაჯერებულობას) შესძენენ დასავლელ პოლიტიკოსებს, რომელთათვისაც კარანტინი იქცა დრამად ჯერ არდაწერილი ფინალით. ისინი მხოლოდ ცდილობენ, მოსინჯონ მყიფე ბალანსი, რომელიც პანდემიის პირობებში როგორც მოსახლეობის, ისე ჯანდაცვის სისტემისა და ეკონომიკის გადარჩენის შესაძლებლობას მისცემთ. უმრავლესობამ არჩევანი სიცოცხლის გადარჩენის სასარგებლოდ გააკეთა. და ეკონომისტები ამას მხარს უჭერენ.

ვაქცინისა და რეანიმაციებში საწოლების საკმარისი რაოდენობის არარსებობის პირობებში ქვეყნის თითქმის ყველა დაზარალებული პიკის შერბილების გზით წავიდა – შეეცადა, ეპიდემია დროში გაეწელა, რისთვისაც საზოგადოებრივ და საქმიან ცხოვრებაში მკაცრი შეზღუდვები შემოიღეს. ჯერ – აზიაში, სადაც ეპიდემია დაიწყო, – ჩინეთიდან სინგაპურამდე. მერე ევროპაში – იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში. მათ კვალდაკვალ – აშშ-ში.

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲝᲓᲘᲐ!

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარუ იმდენად აქტიურად იღვწის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების წინააღმდეგ, რომ მას Twitter-სა და Instagram-ში „ბანს“ აძლევენ. ირანის პრეზიდენტი ხასან როუჰანი კი ვირუსს „მტრის შეთქმულებად“ მოიხსენიებს ირანელების დასაშინებლად და მოსახლეობას სამსახურში სიარულის გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

აი, ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს კი არ შემოუღია და არც თავად იცავს დისტანცირების არანაირ ზომას. მან განაცხადა, რომ „უმჯობესია, მოკვდე მდგომარე, ვიდრე იცოცხლო მუხლმოდრეკილმა“ და მოსახლეობას საკუთარი „ანტივირუსული კოქტეილი“ შესთავაზა: არაყი, აბანო, სპორტი და საგაზაფხულო სამუშაოები.

როგორ ავნებს და არგებს კარანტინი ეკონომიკას. ქვეყანაში ცხოვრების სრულ შეჩერებას სერიოზული შედეგები მოაქვს ეკონომიკისთვის. მათგან ნეგატიური იმთავითვე იკვეთება, თუმცა, არსებობს პოზიტიურიც.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘᲗ...

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ სოციალური ცხოვრება საფუძველს ქმნის თანამედროვე ეკონომიკაში მოხმარებისთვის. ადამიანები დადიან რესტორნებში და სპორტდარბაზებში, კლუბებში და სტუმრად, ყიდულობენ ჯინსებს და იცვამენ თვალშისაცემად ერთი მიზნით – სხვების წინაშე წარმოაჩინონ საკუთარი თავი და სხვებსაც შეხედონ.

შემოაქვს რა კარანტინი და თვითიზოლაცია, ხელისუფლება ამდაგვარ მოთხოვნას ახშობს და იმავე გასროლით კლავს მეორე კურდღელს – შეთავაზებას. ვინაიდან მცირდება როგორც მუშა ძალა (ხალხი სახლებში ზის, უფრო ხშირად ავადობს და, სამწუხაროდ, უფრო ხშირად კვდება), ისე საქონლისა და მომსახურების გამოშვებაც (შეზღუდულია შეკრებები, ვაჭრობა, სპორტი და ტრანსპორტის გადაადგილება).

შედეგად ბიზნესი განვითარებაში ფულის დაბანდებას აჩერებს, რაც სამომავლოდ სიმდიდრის შექმნას ძირს უთხრის. გარდა ამისა, იზრდება ბანკროტების რაოდენობა, ბანკროტდებიან არა მარტო კომპანიები, არამედ ცალკეული ადამიანებიც.

ეს უკვე საბანკო სისტემას უქმნის საფრთხეს: მასობრივი არგადახდები ფინანსური კრიზისის, საბანკო დანაკარგების, კრედიტების ლიკვიდობისა და ხელმისაწვდომობის შემცირების საფუძველს ქმნის.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ „ᲔᲨᲮᲘᲪ“ ᲐᲥᲕᲡ!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲒᲨᲘ, იგი ეპიდემიის და, შესაბამისად, მისი **შედეგების მასშტაბებს ამცირებს. მკაცრი პრევენციული ზომები კარანტინის შერბილებისა და მისი ხანგრძლივობის შემცირების შესაძლებლობას ქმნის.**

მეორეც: კარანტინი ძალაუნებურად ქმნის სამომავლოდ უფრო სერიოზული ეკონომიკური პრობლემების თავიდან არიდების შესაძლებლობას კიდევ იმიტომ, რომ სიკვდილიანობის პიკებს არბილებს. თუ ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდება, გადავსებული საავადმყოფოებისა და მორგების სურათები იმდენად დააშინებს მოსახლეობას, რომ იგი სახლებში მოკალათდება უკვე არა იძულებით, არამედ საკუთარი ნებით.

ასეთ შემთხვევაში ადამიანების რესტორანში, კონცერტზე ან ოფისში გაყვანა ძალზე ძნელი იქნება; ფულს დააგროვებენ და არ დახარჯავენ. დაეცემა მოთხოვნა არაპირველადი საჭიროების საქონელზე – დაწყებული ავეჯითა და მანქანებით, დამთავრებული მუსიკის გაკვეთილებითა და საზღვაო ტურებით. მოხმარება ხანგრძლივი დროით ჩახშობილი აღმოჩნდება, ეკონომიკა ჩიხში შევა.

მომავალი ვარდნის სიღრმეს ამ ეტაპზე ვერავინ იწინასწარმეტყველებს. 1918 წლის „ისპანკის“ ეპიდემიამ აშშ-ში სამრეწველო წარმოება საშუალოდ 18%-ით შეამცირა. მაგრამ რომ არა კარანტინი, ყველაფერი გაცილებით უარესად იქნებოდა, – დაასკვნეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

ისინი აღიარებენ განსხვავებას Covid-19-სა და „ისპანკას“ შორის, რომელმაც ახალგაზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობა მოცელა, ასევე სხვაობას საუკუნოვანი სიძველის არქაულ მეურნეობასა და თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკას შორის...

„ქვეყნებმა, რომლებმაც თავიდანვე შემოიღეს კარანტინი, კერძოდ ტაივანმა და სინგაპურმა, არა მარტო ინფექციის გავრცელება აღკვეთეს, არამედ პანდემიის ყველაზე არასასიამოვნო ეკონომიკური შედეგების შერბილებაც მოახერხეს. ამგვარად, საკარანტინო ღონისძიებები არ უნდა განიხილებოდეს პანდემიის დროს სერიოზული ეკონომიკური ზარალის წყაროდ“, – ასკვნიან მკვლევარები.

BBC.COM

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲢᲐᲢᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲐ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ვაიომინგის შტატი უბედურების ზონად გამოაცხადა, რაც ნიშნავს, რომ რეჟიმი უკვე ქვეყნის 50-ვე შტატში მოქმედებს.

აშშ-ის ისტორიაში პირველად, ქვეყნის პრეზიდენტმა უბედურების ზონად ერთდროულად ქვეყნის ყველა შტატი გამოაცხადა.

ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მონაცემებით, აშშ-ში „კოვიდ-19“ უკვე 530 000-მდე ადამიანს დაუდასტურდა, მსხვერპლის რაოდენობით კი, ქვეყანამ მსოფლიოში პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

აშშ-ში კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობა 20 000-ს აჭარბებს. ბოლო ხუთ დღეში, აშშ-ში „კოვიდ-19“-ით დაღუპულთა რიცხვი 10 000-დან, 20 000-მდე გაიზარდა. ვაიომინგის შტატის გუბერნატორმა, მარკ გორდონმა დონალდ ტრამპს წერილი 9 აპრილს გაუგზავნა, რა დროსაც შტატში დაინფიცირების 200-ზე მეტი შემთხვევა იყო გამოვლენილი.

თეთრი სახლის ინფორმაციით, უბედურების ზონის გამოცხადების შემდეგ, ხელმისაწვდომი გახდა ფედერალური დაფინანსება შტატის და ადგილობრივი მთავრობებისთვის, ასევე ზოგიერთი არაკომერციული ორგანიზაციისთვის. მათ ასევე შეუძლიათ დაეხმარონ შტატის მთავრობებს კოორდინირება გაუწიონ თავიანთ ქმედებებს ფედერალური რესურსებით, როგორიც არის საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტო და არმიის საინჟინრო კორპუსი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰამდათ ჯადიქარ ყიზის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თელავი, ს. ყარაჯალა (საკადასტრო კოდი: 53.10.42.036).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11749.8 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 30 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65694720;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 656947
6. **მოვალე:** ჰამდათ ჯადიქარ ყიზი (პ/ნ 20001033579), თელავი, ს. ყარაჯალა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65694720; ლოტის ნომერი: 656947).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 30 აპრილის 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარინე ხუნდაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარინე ხუნდაძე (პ/ნ 61001008303), ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 81
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ბათუმი, პუშკინის ქ. №79-81, ბინა 22 (საკადასტრო კოდი: 05.28.16.024.01.022https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17780.69 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 30 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65694320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 656943
6. **მოვალე:** მარინე ხუნდაძე (პ/ნ 61001008303), ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. 81
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP65694320; ლოტის ნომერი: 656943).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 30 აპრილის 10:00 საათამდე.

ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ - ᲣᲕᲐᲓᲝᲓ

ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ მეფე სალმანმა კომენდანტის საათის უვადოდ გახანგრძლივება დაამტკიცა. საუდის არაბეთში კომენდანტის საათი 23 მარტს გამოცხადდა და მოქალაქეებს საღამოს შვიდი საათიდან დილის ექვს საათამდე თავისუფლად გადაადგილება აეკრძალათ. თავდაპირველი ბრძანების მიხედვით, კომენდანტის საათი მხოლოდ 21 დღის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა სამეფოში ვირუსის გავრცელები ტემპის გათვალისწინებით, ახლა კომენდანტის საათი უვადოდ არის გახანგძლივებული. საუდის არაბეთში ამჟამად კოვიდ-19-ის 4,033 შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის 52 გარდაიცვალა.

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲡ ᲔᲑᲝᲚᲐᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ

ᲙᲝᲜ�გᲝᲡ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ებოლას ვირუსის ახალი შემთხვევა აღირიცხა, მას შემდეგ რაც ბოლო ინფიცირებულის გამოჯანმრთელებიდან 52 დღე გავიდა. „დღეს ჩავატარეთ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ებოლას ვირუსის საკითხზე შექმნილი საგანგებო კომიტეტის სხდომა. 52 დღის განმავლობაში ახალი შემთხვევები არ ყოფილა, მაგრამ ახლა დაკვირვებისა და რეაგირების ჯგუფმა ახალი შემთხვევა დააფიქსირა. ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით და შემთხვევების რიცხვის ზრდას ველოდებით“, – განაცხადა ჯანმოს გენერალურმა დირექტორმა, ტედროს გებრეიესუსმა.

მისივე თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 13 აპრილს ვერ გამოაცხადებს ებოლას ვირუსის სრული დამარცხების დღედ, როგორც ეს მანამდე იყო დაგეგმილი. ებოლას ვირუსი საშიში დაავადებაა, რომელიც შიდა სისხლდენას იწვევს და უმეტეს შემთხვევაში ადამიანის გარდაცვალებით მთავრდება. ვირუსი დაავადებულ ადამიანთან კონტაქტით ვრცელდება და ადრეულ სტადიაზე გრიპის მსგავსი სიმპტომები აქვს. ებოლას ვირუსი ზაირში 1976 წელს აღმოაჩინეს. ეპიდემიამ პიკს 2014-2016 წლებში მიაღწია. მაშინ ებოლათი 28,6 ათასი ადამიანი დავირუსდა, აქედან 11,3 ათასი ადამიანი გარდაიცვალა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲫᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲛᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ

ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ძაღლების საკვებად გამოყენება ოფიციალურად აიკრძალა. საკვებად კლასიფიცირებული ცხოველების სიიდან ძაღლები სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამოიღო. უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ძაღლი ადამიანის მეგობრად ითვლება და მისი საკვებ პროდუქტად მიჩნევა მიზანშეუწონავია.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დავიდე“ (ს/ნ 406112601), თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, ვარკეთილის დს., ზემო პლატო, ნაკვეთი 05/063
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ. №18, სად. 1, სართ. 10, ბინა 52 (საკადასტრო კოდი: 01.19.36.014.567.01.01.052https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 95212.61 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 14523.95 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 10 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 30 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP65694220;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 656942
6. **მოვალე:** მარიკა ლატარია (პ/ნ 62007013361), თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის 48ე, ბინა 95
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (ganacxadis №71271HZP65694220; ლოტის ნომერი: 656942).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 30 აპრილის 10:00 საათამდე.

◎ პანდემიის მადლი

როცა შენება ასე ნავარდობს...

ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, კორონავირუსმა ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა — ორიოდე თვის წინათ ევროპის ერთ-ერთი უბინძურესი ქალაქი თბილისი საგანგებო რეჟიმისა და ეგრეთ წოდებული კომენდანტის საათის გამოცხადების შემდეგ ავტომანქანების მოძრაობის შეზღუდვის გამო უხარისხო საწვავის გამონაბოლქვისგან მნიშვნელოვანწილად გაიწმინდა და ეკოლოგიურად კონტინენტის ყველაზე სუფთა მეგაპოლისების ნუსხაში საპატიო მეოთხე ადგილამდე აღზევდა.

ეს, ასე ვთქვათ, სტატიკური მიღწევა, როცა წარმატება ტრაგიკულ მოვლენათა განვითარებას უკავშირდება, მაგრამ, საბედნიეროდ, პანდემიამ იმ ჭეშმარიტებაშიც დაგვარწმუნა, რომ, როცა ლაპარაკის ნაცვლად საქმე „ბაირამობს“, სიკეთის ქმნა ფორსმაჟორულ ვითარებაშიცაა შესაძლებელი.

ვგულისხმობ იმ აღმშენებლობის პროცესს, კოვიდ-19-ის შემოტევის მიუხედავად ჩვენს დედაქალაქში ერთი წუთითაც რომ არ შეწყვეტილა და ზოგ-ზოგიერთთა ჯინაზე შეუქცევად ხასიათს იღებს. ამჯერად თქვენს ყურადღებას რამდენიმე ობიექტზე გავამახვილებ, რაც ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით საერთო სურათზე, რომელიც, მერწმუნეთ, მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება.

გემახსოვრებათ, როგორ ვხარობდით, როცა ფიბამ ევრობასკეტ — 2021-ის ერთ-ერთი მასპინძლის პატივი დაგვდო იტალიასთან, გერმანიასთან და ჩეხეთთან ერთად. მაშინ გრანდიოზული ფორუმის ღირსეულად მიღების გარანტად ხელისუფლება მოგვევლინა, საქართველოს დელეგაციას კი ისტორიულ არჩევნებზე თვით ქვეყნის პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვა ჯურის პოლიტიკანებმა და მათმა რუპორმა ზონდერმედიამ ამ საშვილიშვილო პროექტის ხორცშესხმის სტარტზევე წამოყვეს თავი და, როგორც ჩასაფრებულებს სჩვევიათ, ერთი ამბავი ატეხეს — ახალი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის ასაშენებლად გამოცხადებული ტენდერი

როგორ მოაგებინეთ ერთწლიანი ბიოგრაფიის მქონე კომპანია **„საბა კონსტრაქშენსო“**.

მათი ლოგიკით, თურმე, უნდა დავანგრიოთ ის არქიტექტურული შედევრები, რომლებიც დამწყებმა ხუროთმოძღვრებმა ააგეს. გეკითხებით, ჰქვია თუ არა ამას ახალი სისხლისა და ყოველგვარი ნოვატორულის დაბლოკვის მცდელობა?

პროგრესთან თავიდანვე უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული აშკარა დესტრუქციული ძალის ერთგულ ვაიოპონენტებს ვურჩევ: აბრძანდით თსუ-ს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე და თუ ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ თეთრის თეთრად აღქმის უნარი, თქვენი თვალით ნახეთ, უშველებელ ფართობზე გაჭრილ „კატლავანში“ როგორი მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ულამაზესი დარბაზისთვის მყარი საძირკვლის ჩაყრა.

იგივე შეიძლება ითქვას ვაკეში დამამთავრებელ ფაზაში გადასულ მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლებისა და ყაზბეგზე ემკვადრატის კორპუსის გვერდით ახალი სკვერის მოსაწყობ სამუშაოებზე.

მოკლედ, გული გულობდეს და...

მასშტაბებიც, მოგეხსენებათ, შედარებითია, მაგრამ სწორედ სული და გულია ჩაქსოვილი ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-3 კვარტლის მე-17 კორპუსის მე-4 სადარბაზოს წინ **ტატიანა გურგენიძის** მიერ რუდუნებით შექმნილ წალკოტში, რომელსაც გემოვნებით შერჩეული ექსპონატების გათვალისწინებით, თანაბარი წარმატებით შეგვიძლია ვუწოდოთ როგორც ედემის ბაღი, ისე ეთნოგრაფიული მუზეუმი. აღსანიშნავია, რომ კორპუსის ამ სამაგალითო ლიდერმა ეზოს გამშვენიერების პროცესში საკუთარი ოჯახის წევრები და სამეზობლოც აიყოლია, თუმცა, გადამწყვეტი როლი მაინც თვითონ შეასრულა.

თურმე, მართალი ყოფილა — სურვილი იყოს და ადამიანი მთას გადადგამსო.

გია პლატონიშვილი

◎ ჭადრაკი

ნანა ძაგნიძე ათეულს დაუბრუნდა

სამი კვირის წინათ შვეიცარიულ ლოზანაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს 2019-2020 წლების გრან პრის მესამე ეტაპის გათამაშება, რომელშიც მსოფლიოს 12 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობდა. ტურნირში შესანიშნავად იასპარეზა ევროპის 2017 წლის ჩემპიონმა **ნანა ძაგნიძემ,** რომელმაც, როგორც ვწერდით, თერთმეტი შესაძლებლობიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ამ ტრიუმფისთვის მან 15 სარეიტინგო პუნქტიც დაიმსახურა, რითაც საპირველაპრილოდ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა კლასიფიკაციის პირველ ათეულს დაუბრუნდა.

შვეიცარიულმა ბატალიებმა დიდი წარმატება მოუტანა 20 წლის ყაზახ მოჭადრაკე **ჟანსაია აბდუმალიკს,** რომელიც ლოზანაში 6.5 ქულით მესამე იყო. იგი ქალთა პირველი ასეულის მე-16 საფეხურზე აღზევდა, ხოლო თანატოლ გოგონათა (20-წლამდელებში) ასეულში, სადაც საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავს (არც — ვაჟებში), პირველ ადგილზეა.

წლეულს იანვარში ჩინელმა **ცზიუი ვენძიუნმა** მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ფინალურ მატჩში რუს **ალექსანდრა გორიაჩკინას** სძლია და ტიტული შეინარჩუნა. აზიელმა დიდოსტატმა შვეიცარიაში საკუთარი შესაძლებლობები ვერ წარმოაჩინა და სარეიტინგო 23 პუნქტიც დაკარგა, რის გამოც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი კლასიფიკაციაში მე-4 საფეხურზე ჩამოქვეითდა, ხოლო ვიცე-ჩემპიონმა გორიაჩკინამ, რომელმაც ლოზანაში 7 ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-2 ადგილი დაიკავა, რეიტინგის მესამე საფეხურზე აინაცვლა.

ქალთა ასეულს ისევ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **ჰოუ იფანი** (ჩინეთი, 2658) უდგას სათავეში. პირველ ათეულში მომდევნო ადგილებზე არიან: **ჰამპი კონერუ** (ინდოეთი, 2586), **ალექსანდრა გორიაჩკინა** (რუსეთი, 2582), **ცზიუი ვენძიუნი** (ჩინეთი, 2560), **კატერინა ლაგნო** (რუსეთი, 2546), **მარია მუზიჩუკი** (უკრაინა, 2544), **ანა მუზიჩუკი** (უკრაინა, 2535), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2524), **ჰარიკა დრონავალი** (ინდოეთი, 2515), **თან ჩჟუნი** (ჩინეთი, 2510).

პირველ ასეულში, ძაგნიძის გარდა, საქართველოს კიდევ ხუთი წარმომადგენელია: 17. **ლელა ჯავახიშვილი** (2475), 25. **ბელა ხოტენაშვილი** (2458), 26. **ნინო ბაციაშვილი** (2457), 38. **მერი არაბიძე** (2428), 92. **სალომე მელია** (2370).

ვაჟებში მსოფლიოს ჩემპიონი **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია, 2863) ლიდეროობს. მას 28 პუნქტით ჩამორჩება **ფაბიანო კარუანა** (აშშ, 2835). პირველ ათეულში შემდეგ მოდიან: **დინ ლიჟენი** (ჩინეთი, 2791), **იან ნეპომნიაშჩი** (რუსეთი, 2784), **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი** (საფრანგეთი, 2778), **ალექსანდრ გრიშჩუკი** (რუსეთი, 2777), **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2773), **ვესლი სო** (აშშ, 2770), **თემურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი, 2765), **ანიშ გირი** (ჰოლანდია, 2764), **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2764).

საქართველოდან საუკეთესო ასეულში მხოლოდ **ივან ჩეპარინივია,** რომელსაც 2686 პუნქტით 45-ე ადგილი უკავია.

ლექსო ციწცაძე

◎ კალათბურთი

ევროპას 2022-ში ვუმასპინძლებთ

ფიბა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ახალი კალენდარი შეიმუშავა. უწინდელში ცვლილებები კორონავირუსის გამო შევიდა. ახალმა პანდემიამ გავლენა თვით ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა მსხვილ სასპორტო ღონისძიებებზე მოახდინა. გთავაზობთ ფიბა-ს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრეს-რელიზს, სადაც კალენდრის ცვლილებებია წარმოდგენილი, თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ცვლილებები ოფიციალურ ძალას მაშინ შეიძენს, თუ მას მაისში ფიბა-ევროპის აღმასრულებელი საბჭო დამტკიცებს.

საგულისხმოა, რომ FIBA მიესალმა ტოკიოს ოლიმპიადის თარიღების შეცვლას (თამაშები 2020 წლის 23 ივლისიდან 2021 წლის 8 აგვისტოსთვის გადაიდო) და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ამ რთულ სიტუაციაში თანამშრომლობისა და დროული გადაწყვეტილების მიღებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ცენტრალური საბჭოს გასულ სხდომაზე, 13 მარტს დადასტურდა FIBA-ს ყველა მიმდინარე საკლუბო შეჯიბრების შეჩერება. FIBA-ს აღმასრულებელ კომიტეტზე ასევე გადაწყდა, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების თარიღის ცვლილების შემდეგ ყოველგვარი საჭირო ცვლილება შეიტანონ FIBA-ს კალენდარში, რომელიც თავდაპირველად დამტკიცებული იყო ცენტრალური საბჭოს მიერ 2015 წელს.

შესაძლო სცენარების ფრთხილად გაანალიზების შემდეგ, რეგიონული ოფისებისა და საშეჯიბრო კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ფიბას აღმასრულებელმა კომიტეტმა კალენდარში შემდეგი ცვლილებები შეიტანა:

FIBA-ს ოლიმპიური საკვალიფიკაციო ტურნირები გაიმართება 2021 წლის 22 ივნისსა და 4 ივლისს შორის პერიოდში (ზუსტ თარიღს IOC უახლოეს ხანში დაამტკიცებს).

FIBA EuroBasket 2021-ისა და FIBA AmeriCup 2021-ის გაახლებული თარიღებია 2022 წლის 1-18 სექტემბერი.

იმისათვის, რომ მოთამაშეთა დატვირთვა შეიზღუდოს და მათი შესაძლებლობები მაქსიმალური გახდეს ამ კალენდარის ფარგლებში, ეროვნული ნაკრებები, რომლებიც მონაწილეობენ FIBA-ს კალათბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში, ითამაშებენ ორ მატჩს, უწინ დაგეგმილი 2022 წლის სექტემბრის ნაცვლად, 2022 წლის აგვისტოს ბოლოს, FIBA EuroBasket-ის და FIBA AmeriCup-ის მოსამზადებელ ეტაპზე. კონტინენტური ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირებისა და FIBA-ს 2023 წლის მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატების თარიღები უცვლელი რჩება“.

ლაშა დიდია

◎ თარიღი

სამი მუშკეტერი

ალბათ, გამოჩნდებიან ისეთებიც, ვინც გაიკვირვებს — ამ გაგანია პანდემიის დროს რა იუბილეები აგიტყდათო, მაგრამ, ვფიქრობთ, სწორედ მძიმე განსაცდელის ჟამს გვმართებს უარყოფით ემოციებზე ამაღლება და ერის საამაყო შვილებისადმი მადლიერების თუნდაც რამდენიმე სტრიქონით გამოხატვა.

ალექსანდრე ჩივაძე - 65

თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების სახელოვანი კაპიტანი, ეროვნული ნაკრების ყველაზე წარმატებული მწვრთნელი, მოწოდებით — ლიდერი, უღალატო პიროვნება, ადამიანი — ავტორიტეტი.

რევაზ ძოძუაშვილი - 75

მცველი — დიდოსტატი, რომელმაც თავის დროზე თვით ჯორჯ ბესტი „ჩაკეტა“, რეფორმატორი მწვრთნელი, რომლის სახელსაც ლატვიური ფეხბურთის ოქროს ხანა უკავშირდება, კაცი — კოლორიტი, უბრალოდ — „მიხიჩა“.

ელგუჯა გუგუშვილი - 75

ფართო დიაპაზონის უნივერსალი მოღვაწე. მეცნიერებაში — მებოცვრეობის დარგის აღიარებული პროფესიონალი, ზოოვეტისა და — მოგვიანებით, სპორტის აკადემიის ამაგდარი თავკაცი; სპორტში — მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდის თვალსაჩინო დამრიგებელი და თურქმენული საკლუბო ფეხბურთის მიღწევათა ავტორი.

გილოცავთ, ძვირფასებო!

„სრ“ სპორტის რედაქცია

შპს „ლილო-მოლი“ ბრძანება

№313
18. 03. 2020

ახალი ტიპის კორონავირუსის COVID-19 მსოფლიო მასშტაბით (მათ შორის საქართველოში) გავრცელებასთან და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს მკვეთრი გაუარესება, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადამიანების მიერ საკუთარი ინიციატივით ხალხმრავალი ადგილების თავშეყრისთვის თავის არიდების, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების და გაცემული რეკომენდაციების შედეგად (აუცილებლობის გარეშე სახლიდან გაუსვლელობის რეკომენდაცია, სამარშრუტო ტაქსების გადაადგილების აკრძალვა და ა. შ) შპს „ლილო-მოლის“ („ლილოს“ სავაჭრო ცენტრის) ტერიტორიაზე შემოსული მომხმარებლების მნიშვნელოვანმა კლებამ რამაც თავის მხრივ გამოიწვია საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების სავაჭრო ბრუნვის და გადახდისუნარიანობის შემცირება, სავაჭრო ცენტრის პარალიზების თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, შექმნილი ობიექტური გარემოებების შესაბამისი ადეკვატური ზომის სახით, 2020 წლის 19 მარტიდან დაკორექტირდეს საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი და განისაზღვროს არსებული საიჯარო ქირის გადასახადის 30%-ის ოდენობით.

დაკორექტირდეს საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადის გადახდის ვადები და განისაზღვროს 2020 წლის მარტის თვეში 14 რიცხვიდან 30 რიცხვის ჩათვლით პერიოდში, ხოლო მომდევნო თვეებში იმ მოვაჭრეებისთვის რომლებიც ჩვეულ რეჟიმში იხდიდნენ თვის I და II დეკადაში ყოველი თვის 8 რიცხვიდან 15 რიცხვის ჩათვლით პერიოდში, ხოლო ვინც იხდიდა თვის III დეკადაში ყოველი თვის 21 რიცხვიდან 27 რიცხვის ჩათვლით პერიოდში.

წინამდებარე ბრძანება საცალო-საბითუმო რიგებში არსებული ყველა მოვაჭრის ინფორმირების მიზნით გამოქვეყნდეს საჯარო წესით (გამოიკრას სერვის ცენტრის და რიგებში თვალსაჩინო ადგილას, აიტვირთოს კომპანიის ვებ-საიტზე). საზოგადოების მოვაჭრეებთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს მოვაჭრეებისათვის წინამდებარე ბრძანების შინაარსის გაცნობა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა. მოვაჭრის მხრიდან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, მას ეძლევა წინადადება წერილობით მომართოს კომპანიის დირექციას, წინაღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მოვაჭრე ეთანხმება წინამდებარე ბრძანებით შეთავაზებულ საგანგებო ვითარებაში დადგენილ ტარიფს.

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს და სერვის ცენტრს, დაევალოს საიჯარო ქირის გადასახადების გადახდის ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი კორექტივების შეტანა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფ ს.ს. „ვითიბი ბანკთან“ ერთად საიჯარო თანხების მიღება კორექტირებული ოდენობით.

საცალო-საბითუმო რიგებში არსებულ ყველა მოვაჭრეს და ს.ს „ვითიბი ბანკს“ ეთხოვოს გაგებით მოეკიდონ პანდემიის გამო შექმნილ რთულ მდგომარეობას და დაიცვან წინამდებარე ბრძანებით დადგენილი საიჯარო ქირის გადასახადების გადახდა/მიღების რეჟიმი.

საზოგადოების ტერიტორიაზე საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების მხრიდან გადასახდელი ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი დაუბრუნდეს 2020 წლის 18 მარტის მდგომარეობით არსებულ ნიშნულს ეპიდემიური საფრთხის ამოწურვის, სიტუაციის სტაბილიზაციის და საქართველოს მთავრობის მიერ სათანადო რეკომენდაციის გაცემის შემდგომ კომპანიის გენ. დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საზოგადოების კომერციულ დირექტორს თ. გამყრელიძეს.

გენერალური დირექტორი
/გ. კვარაცხელია/

სანთელი

ხსოვნა ქართული ენის მეცხოვნისა



ოთარ კაპანაძე

წავიდა ჩვენგან ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, ქართული ლიტერატურული ენის გულდამწვარი ქომაგი და მოამაგე, ღირსეული მამულიშვილი და სწორუპოვარი სტილისტი ოთარ კაპანაძე.

ოთარ კაპანაძემ განვლო სახელოვანი გზა როგორც ძლიერმა ქართველმა სტილისტმა და ენათმეცნიერმა. მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე საქინფორმში, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვა ორგანიზაციებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით გამოიცა ბევრი გამოკვლევა და დიდად საყურადღებო მოსაზრება ქართული ენის სიწმინდესა და განვითარების მიმართულებებზე, მისი ნორმა-წესების ყველაზე გავრცელებული დარღვევებისა და მათი დაძლევის გზების ძიებისადმი მიძღვნილი მასალები. მისი შემოქმედება და მოსაზრებანი ქართული ენის სიწმინდის დაცვის აუცილებლობის შესახებ მუდამ იყო ენის სპეციალისტების, სტილისტების სანიმუშო მაგალითი და მისაბაძი.

ოთარ კაპანაძეს იცნობდნენ აგრეთვე როგორც გამორჩეულ და სახელოვან ალპინისტს, მას დაპყრობილი ჰქონდა მრავალი მწვერვალი.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური ქართული მიწა.

ზურაბ ლომიძე

„საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებიპთ იუწყებიან საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ცნობილი ენათმეცნიერის, რედაქციის უხუცესი თანამშრომლის, უკეთილშობილესი პიროვნების

ოთარ კაპანაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებს და დიდ სამეგობროს.

კორონავირუსი და პატიმრები

საფრთხე გარეთ მყოფებისთვისაც

კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიოში ბევრი პატიმრის ბედი გადაწყვიტა — ციხეებიდან მასობრივად გაათავისუფლეს მსჯავრდებულები და არა მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში. ეს პროცესი არ შეხებია საქართველოს და პრეზიდენტმაც ბოლოს მხოლოდ 9 პატიმარი შეიწყალა. ევროსაბჭოს ანგარიშის თანახმად, საქართველო მესამე ადგილზეა პატიმართა რაოდენობის მიხედვით (100 ათას მოსახლეზე გათვლით). რა ზომებს იღებს საქართველოს სახელმწიფო საპატიმროებში კორონავირუსთან დაკავშირებული სერიოზული რისკების ფონზე? რა რესურსი აქვს პენიტენციურ სისტემას?

პატიმრები სახლებში გაუშვეს

სოციალური დისტანციის დაცვის შეუძლებლობა, საზიარო ნივთები, საზიარო საპირფარეშოები თუ საშხაპეები — კორონავირუსის სწრაფად გავრცელების თვალსაზრისით ციხე ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სივრცედ მიიჩნევა.

სპეციალისტებმა იციან, რომ თუკი საპატიმროებში ინფექცია ფართოდ გავრცელდა, ეს საფრთხეა გარეთ მყოფებისთვისაც, რადგან მეტ ინფიცირებულს სჭირდება მეტი ადგილი საავადმყოფოში და მეტი სასუნთქი აპარატიც.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტი (2 მილიონ 300 ათასი) პატიმარი ჰყავს, ციხეების განტვირთვა მას შემდეგ დაიწყო, რაც კორონავირუსმა იქაც შეაღწია. სხვადასხვა წყაროს ცნობით, აშშ-ის მასშტაბით უკვე გათავისუფლებულია ათასობით პატიმარი, მათ შორის — 4 ათასამდე მხოლოდ კალიფორნიაში.

დიდ ბრიტანეთში — ინგლისსა და უელსში 4 ათასი მსჯავრდებულის გამოშვების გადაწყვეტილება მიიღეს. BBC-ის ცნობით, 4 აპრილისთვის 29-მდე საპატიმროში COVID19-ის 88 შემთხვევა იყო დადასტურებული.

1500-დან 200 პატიმრის ეტაპობრივი გაშვების გადაწყვეტილება **ჩრდილოეთ ირლანდიამ** — დაახლოებით ერთი კვირის წინ მიიღო. მსგავსი გეგმით მოქმედებს **შოტლანდიაც**.

5000-მდე პატიმრის გათავისუფლება გადაწყდა **საფრანგეთში,** რომელიც, ევროსაბჭოს ბოლო ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული ციხეებით გამოირჩევა.

კორონავირუსის საფრთხეების გამო, პატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებულია სხვა არაერთ ქვეყანაში, მათ შორის: **ავსტრალიაში, გერმანიასა** და **კანადაში**.

საზოგადოების უსაფრთხოებისა და მსხვერპლთა გრძნობების მოფრთხილების მიზნით, სახელმწიფოები პატიმრების გათავისუფლებისას სიფრთხილეს იჩენენ. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მიდგომაა და გათავისუფლების პროცესი შეეხება, ძირითადად: **მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს; პირებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელის 2/3; პირებს, რომლებსაც სასჯელის ვადის ამოწურვამდე 2-3 თვე აქვთ დარჩენილი;ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს.**

არსად ათავისუფლებენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულ პატიმრებს, მოძალადეებსა და ტერორიზმში ბრალდებულებს.

ქვეყნები მიმართავენ საპატიმრო ვადის ინდივიდუალურად შემცირების, ამნისტიისა თუ შეწყალების მექანიზმებს. თუმცა ზოგ შემთხვევაში, პატიმრებს მხოლოდ დროებით ათავისუფლებენ.

ირანის ხელისუფლება ჯერ კიდევ 9 მარტს იტყობინებოდა - კორონავირუსის საფრთხის გამო 70 ათასი პატიმრის გათავისუფლების შესახებ. „როიტერსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გათავისუფლებულთა რიცხვი 17 მარტს უკვე 85 ათასი იყო და მათ შორის იყვნენ პოლიტპატიმრებიც.

აპრილის დასაწყისში ინდონეზიის ხელისუფლებამ ერთიანად 30 ათასი პატიმრის გათავისუფლება გადაწყვიტა და პირველ ეტაპზე — 22 ათასი პატიმარი გაათავისუფლა.

გავრცელდა ცნობა **აზერბაიჯანიდანაც**. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გადაწყვიტა შეიწყალოს 65 წელზე უფროსი ასაკის პატიმრები. ხელი მოეწერა დეკრეტს 176 მსჯავრდებულის შესაწყალებლად.

პატიმრებზე ზრუნვის გაძლიერება და მათ გათავისუფლებაზე ფიქრი სახელმწიფოებს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, მიშელ ბაჩელეტმაც ურჩია.

რას აკეთებს საქართველო?

საქართველოში პატიმართა მასშტაბური შეწყალების აუცილებლობაზე ჯერ არაფერი თქმულა. ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლებას შესაძლოა სწორედ ახლა ჰქონდეს მათ შორის, პოლიტპატიმრების უმტკივნეულოდ გათავისუფლების კარგი შანსი.

ისინი აპელირებენ დაპირებაზე, რომელიც ხელისუფლებამ ოპოზიციას მისცა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება კი ერთმნიშვნელოვნად უარყოფს როგორც ამგვარი დაპირების, ასევე ზოგადად — პოლიტპატიმრების არსებობას ქვეყანაში.

რადიო „თავისუფლება“



რომის პაპი: იყავით სიცოცხლის მაცნეები სიკვდილის ჭაშს

— ასე მიმართა რომის პაპმა ფრანცისკემ მორწმუნეებს კათოლიკური აღდგომის დადგომისას. რომის პაპმა მოუწოდა ხალხს, არ დაემორჩილონ შიშს და ყურადღება გაამახვილონ იმედის გზავნილზე.

პონტიფიკოსის განცხადებით, ის ადამიანები, რომლებიც შედარებით უკეთეს პირობებში არიან, ღარიბებს უნდა დაეხმარონ.

რომის პაპმა კათოლიკეების წინასააღდგომო წირვა ვატიკანში, თითქმის ცარიელ წმ. პეტრეს ბაზილიკაში ჩაატარა. ტაძარში ჩვეულებრივად ცერემონიას 10 000-მდე ადამიანი ესწრება, ახლა კი პაპს თან მხოლოდ ორი ათეული ადამიანი ახლდა.

აღდგომის დღესასწაული არ გაუქმებულა, აღდგომა გვჭირდება, როგორც არასდროს

ამის შესახებ ბრიტანეთის დედოფალმა, ელისაბედ მეორემ სააღდგომო მიმართვაში განაცხადა. ბრიტანეთის მონარქმა კორონავირუსთან დაკავშირებული შემზღუდველი ზომების დაცვის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

დედოფალმა ელისაბედმა თქვა, რომ განცალკევებულად ყოფნით მოსახლეობა ერთმანეთს იცავს.

„განცალკევებულად ყოფნით ჩვენ სხვებს ვიცავთ. აღდგომის დღესასწაული არ გაუქმებულა, ფაქტობრივად, ჩვენ გვჭირდება აღდგომა, როგორც არასდროს. დაე, აღდგომის იმედის ცოცხალი ალი იყოს მუდმივი წინამძღოლი ჩვენს მომავალში“, — აღნიშნა ბრიტანეთის დედოფალმა. დედოფლის აუდიოგზავნილი სამეფო ოჯახის ონლაინ და სოციალური მედიის საშუალებით გავრცელდა.

რუმინეთის ეკლესია 1.48 მლნ ევროს ღარიბებისთვის ხარჯავს

რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში პანდემიისგან დაზარალებულ, მოწყვლად ჯგუფებს ეხმარება. რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ცნობით, რუმინეთის პატრიარქის, დანიელის მიმართვის შემდეგ, რუმინეთის ეკლესიის სასულიერო პირებმა და მოხალისეებმა გააძლიერეს ზრუნვა სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, რომლებიც დაზარალდნენ პანდემიისგან.

მატერიალური დახმარება განკუთვნილია ღარიბებისა და მოხუცებისთვის, ავადმყოფებისა და შშმ პირებისთვის, რომლებიც დროებით იმყოფებიან იზოლაციაში ან კარანტინში. ასევე, რუმინეთის ეკლესია ეხმარება რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებას. ეკლესიის დახმარება გამოიხატება საკვების, ჰიგიენური საშუალებებისა და სამედიცინო აღჭურვილობის დარიგებაში.

რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ცნობით, პანდემიის შედეგად მძიმედ დაზარალებულთა დასახმარებლად რუმინეთის ეკლესიამ უკვე გაიღო 1 480 000 ევრო (7 153 671 ლეი). რუმინეთის საპატრიარქოს ცნობით, პატრიარქმა დანიელმა, ასევე ეპისკოპოსებმა და სასულიერო პირებმა, თანხა გაიღეს საკუთარი ხელფასებიდან, რომ რამდენიმე კლინიკისთვის, მოხალისეებისა და სოციალური მუშაკებისთვის აღჭურვილობა ეყიდათ კორონავირუსისგან თავის დასაცავად. საპატრიარქოს ცნობით, ერთ-ერთმა არქიეპისკოპოსმა ადგილობრივი ხელისუფლება დაარწმუნა, რომ ეკლესიის გარემონტებისთვის განკუთვნილი 300 000 ევრო ორ ადგილობრივ სახელმწიფო საავადმყოფოში გადამისამართებულიყო.

საადგომოდ — პირველი მსახურება

პარიზის არქიეპისკოსპმა მიშელ ოპეტიმ, წინასააღდგომო „წითელი პარასკევის“ მსახურება ჩაატარა ჯერ კიდევ სარემონტო სამუშაოებში მყოფი პარიზის ღთისმშობლის ტაძარში. ეს არის პირველი მსახურება მას შემდეგ, რაც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი 2019 წლის 15 აპრილს ხანძრისგან ძლიერ დაზიანდა. მსახურების პირდაპირ ტრანსლაციას ფრანგული ტელევიზიები გადასცემდნენ.

ცარიელ ტაძარში, არქიეპისკოპოს მიშელ ოპეტისთან ერთად იყვნენ მხოლოდ დიაკვანი, მედავითნე და ოთხი სტიქაროსანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წითელი პარასკევის მსახურებაზე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მოიტანეს ქრისტეს ეკლის გვირგვინი, რომელიც 2019 წლის ხანძარს გადაურჩა და რომელიც ამჟამად პარიზის დიოსეზის საცავში ინახება, ღვთისმშობლის ტაძრის საბოლოო აღდგენამდე.

„ბოლეროს“ — კარანტინში

საფრანგეთის ნაციონალური ორკესტრის მუსიკოსები კარანტინში ცნობილი ფრანგი კომპოზიტორის მორის რაველის „ბოლეროს“ ასრულებენ.

„რთულ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ყველა განვიცდით, საფრანგეთის ეროვნული ორკესტრის მუსიკოსებს გაუჩნდათ სურვილი, მანძილის მიუხედავად, ერთად შეესრულებინათ ნაწარმოები, რათა თითოეულ ადამიანს შესთავაზონ და გაუზიარონ ის, რაც მათ ყველაზე კარგად გამოსდით — მუსიკა“, — ნათქვამია საფრანგეთის ეროვნული ორკესტრის განცხადებაში. ორკესტრის წარმომადგენელთა თქმით, სოციალური დისტანცირების პირობებში მუსიკა ადამიანების საუკეთესო დამაკავშირებელია. მუსიკოსები იმედოვნებენ, რომ რაველის ნაწარმოების ნოტები სიხარულისა და ნუგეშის მომგვრელი იქნება ადამიანებისთვის კორონავირუსით გამოწვეულ რთულ პერიოდში.

ოდესელები ხუმრობენ

უკრაინის ქალაქ ოდესაში რამდენიმე ადამიანმა კარანტინის დროს სეირნობისთვის ორიგინალურ ხერხს მიმართა. ქალაქის მცხოვრებლები ეროვნული კარანტინის მოთხოვნებს ჩვეული იუმორით შეხვდნენ.

კარანტინის დროს ქუჩაში შინაური ცხოველის გასასეირნებლად გასვლა ნებადართულია. ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ დადიან ქალაქის ქუჩებში ცხოველებად გადაცმული ადამიანები. კერძოდ, მულტფილმ „მაშა და დათვის“ და ლუის კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ პერსონაჟები.

თვითიზოლაცია... სუპერმარკეტში

საფრანგეთის ქალაქ პოში უსახლკარო კაცმა თვითიზოლაცია სუპერმარკეტში მოიწყო, სადაც ალკოჰოლს სვამდა და პორნოფილმებს უყურებდა.

საფრანგეთში მყოფი პოლონეთის მოქალაქე სუპერმარკეტში ღამით შევიდა, კარები ჩაკეტა და ჯერ ვისკი, შემდეგ კი შამპანური დალია. ამის შემდეგ ის კომპიუტერთან დაჯდა და პორნოფილებს უყურებდა. ნასვამი კაცი დილით სამსახურში მისულმა სუპერმარკეტის თანამშრომელმა აღმოაჩინა და პოლიცია გამოიძახა. უსახლკარო პოლონელი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მან დრო იხელთა და 15 ათასი ევროს ღირებულების კარდიომონიტორინგის აპარატი დააზიანა. ამის შემდეგ უსახლკარო კაცი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. უახლოეს დღეებში მის საქმეს სასამართლო განიხილავს.

სექსი... ჟამიანობის დროს

ჰონგ-კონგის ზოოპარკში 10 წლის განმავლობაში პირველად გიგანტური პანდები შეჯვარდნენ. ინ ინი და ლე ლე ზოოპარკში უკვე დიდი ხანია ბინადრობენ, თუმცა, შეჯვარების ბუნებრივი პროცესის განხორციელებას აქამდე ვერ ახერხებდნენ. ზოოპარკის თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ მათი წარმატება ზოოპარკის კორონავირუსის პანდემიის გამო დაცარიელებამ განაპირობა.

ჯერჯერობით უცნობია, ეყოლებათ თუ არა ინ ინს და ლე ლეს პატარები, თუმცა, ზოოპარკის თანამშრომლები დარწმუნებულები არიან, რომ ამის შანსები საკმაოდ დიდია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1456; ევრო - 3.4425;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9257;
100 რუბლი - 4.2612; თურქული ლირა - 0.4687;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8504;
1000 სომხური დრამი - 6.4418.

ამინდი 13 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge